ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

№9
1929

სახელგანი

ბეჭდვითი სიტყვის ათდღიური

15 მაისიდან იწყება პიონერულ—საბავშო ბეჭდვითი სიტყვის ათდღიური, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ჟურნ. „პიონერის“, „ოქტომბრელის“ და საბავშო წიგნების მასიურ გავრცელებას.

ამხანაგებო! ეხლავე შევუდგეთ მუშაობას, რომ ზაფხულში არ შემცირდეს ჩვენი გამომცემლობის ტირაჟი.

ამხანაგებო! ჩავატაროთ წინასწარი მუშაობა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ჟურ. „პიონერის“ ტირაჟი 5000 გავხადოთ, „ოქტომბრელის“ კი—4000.

კომკავშირის ცეკას დადგენილებით, 15 მაისიდან 25 მაისამდე ტარდება კომკავშირულ-პიონერული ბეჭდვითი სიტყვის ათდღიური. ათდღიურის უმთავრეს ამოცანას შეადგენს: ა) ბეჭდვითი სიტყვის მჭიდროდ დაახლოვება პიონერულ მასებთან და ბ) ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მეტი ყურადღების მიქცევა პიონერული ჟურნალებისა და ლიტერატურისადმი.

რა უნდათ გავაკეთოთ ჩვენ? რასაკვირველია, ათ დღეში ბევრს ვერას გავაკეთებთ. ათდღიური მხოლოდ დაწყებაა იმ საქმის, რაც მომდევნო კვირეებში უნდა გავაკეთოთ:

ხელი უნდა შევუწყოთ პიონერულ გამოცემათა ტირაჟის გადიდებას. ჩვენდა სამწუხაროდ, პიონერული ჟურნალების ტირაჟი პატარაა.

პიონერი და მოწაფე „პიონერის“ და „ოქტომბრელის“ მეგობარი უნდა იყოს და ამ ჟურნალების საქმიანობა ყოველმხრივ უნდა აინტერესებდეს მათ. პიონერი და მოწაფე სისტემატიურად უნდა კითხულობდეს ჟურნალს, და არა შემთხვევით, დროგამოშვებით.

გამოცდილებით ვიცით, რომ ზაფხული **ჩვენი გამოცემების ტირაჟის მტერია.** ეს აიხსნება უმთავრესად საზაფხულო არდადეგებით. ამიტომ ათდღიურის ერთერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ტირაჟის ფრონტზე მიღწეული შედეგების შენარჩუნება. ეს უნდა ახსოვდეს ყოველ პიონერს, ყოველ მოწაფეს, რომ ჟურნალი ისევე საჭიროა ზაფხულში, როგორც წლის სხვა დროს. **ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ათდღიური უნდა გამოიყენონ სამ და ექვსთვიან ხელისმოწერათა შესაკრებად.**

ყოველმა შეგნებულმა პიონერმა და მოწაფემ უნდა მიუთითოს თავის ამხანაგებს, მეზობლებს, შეუკავშირებელი ბავშვების მშობლებს, სკოლის, ბიბლიოთეკების, კლუბების ხელმძღვანელებს, რომ თავისათვის და მშობლებმა კი ბავშვებისათვის შეიძინონ საბავშო ჟურნალები და წიგნები.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი გამოცემების თვისობრივი მხარის გაუმჯობესებას. ამაში პიონერები, მოწაფეები, პიონერხელმძღვანელები და პედაგოგები უნდა დაგვეხმარონ. ყოველი პიონერი აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს პიონერული ჟურნალისა და წიგნის კეთების საქმეში რედაქციისადმი თავისი პრაქტიკული მითითებებით და ჟურნალში საქმიანი მონაწილეობით. ჩვენ ამ მხრივ საგრძნობი მიღწევები გვაქვს, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ამ მიღწევათა გადიდება.

ყოველ კოლექტივში საქმიანად, კოლექტიურად გაარჩიეთ ჟურნალები „პიონერი“, „ოქტომბრელი“ და რამდენიმე საბავშო წიგნი, შეადარეთ მათში მოცემული მასალა და გარეგნული მხარე, აღნიშნეთ ნაკლი, რა განყოფილება არ გაკმაყოფილებსთ, რა არის საჭირო თქვენი ჟურნალის გასაუმჯობესებლად, და წერილობით აცნობეთ პიონერის რედაქციას, რაც დიდად დაეხმარება ჟურნალის გაუმჯობესებას.

უდავოა, რომ პიონერული მასის საქმიანი ჩარევაა საჭირო რედაქციის მუშაობაში, ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, ძალზე გააუმჯობესებს ჟურნალებს და, რაც უმთავრესია, ძალზე დაუახლოვებს პიონერებს ჟურნალს.

ათდღიურში პიონერებმა და მოწაფეებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ აგრეთვე **სკოლის ბიბლიოთეკების** (განსაკუთრებით პროვინციაში) მუშაობას. დასაფარავი არაა, რომ ჩვენი სკოლების ბიბლიოთეკები ძალზე ძველი წიგნებითაა სავსე, ახალი მკითხველისათვის მავნე წიგნებით, იმ დროს, როდესაც საბჭოთა პიონერულ-საბავშო წიგნი შიგ ელექტრო—სანათურითაა საძებნი.

ჩვენს მოვალეობას შეადგენს გადავათვალიეროთ ეს ბიბლიოთეკები, შევადგინოთ გამოუსადეგარი წიგნების სია და მოვითხოვოთ მათი განდევნა ბიბლიოთეკებიდან; ბიბლიოთეკები უნდა შევავსოთ პიონერულ-საბავშო წიგნებით.

აი, დაახლოებით, ის, რაც უნდა გავაკეთოთ ამ ათდღიურში.

ვ—ო

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1.	კომუნა — **გ. პარკაძის**	1.
2.	ბავშთა საერთაშორისო მეცხრე კვირეული — **გ. აბესაძის**	4.
3.	ძია ვასოს ამქრები — ლექსი — **ი. აბაშიძის**	5.
4.	განვამტკიცოთ ინტერნაციონალური აღზრდა — **ა. კაპანაძის**	6.
5.	ყურმოჭრილი დათვი — **ვანო დუშელის**	7.
6.	რა ხდება კახეთის პიონერ-კოლექტივებში — **მ. ელიჯარაშვილის**	9.
7.	დღევანდელი სოფელი — ლექსი — **ვ. ჟურულის**	9.
8.	გაზეთი	10.
9.	ტყის შვენება — **ს. ერთაწმინდელის**	12.
10.	მეცნიერება და ტექნიკა	14.
11.	ბეჭდვითი სიტყვის ათდღიური — **ვ. ო.**—გარეკანის მეორე გვერდზე	
12.	ბავშთა კომჯგუფების აღმოცენება ინგლისში — **გ. ა—ძის**—გარეკანის მესამე გვერდზე	

329.153(05)
პ-47

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

1929
15 მაისი

საქართველოს ა. კ. ღ. ცენტრალური და ტფილისის ბიურო-ების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი IV
№ 9

საქართ. ბიბლიოთეკა

კოცონი ერთხელ კიდევ აენთო, არემარე გააშუქა და ისევ თავის გულის წყვდიადს ჩაეღვენთა. ალბათ უნდოდა ძალ-ღონე მოეკრიბა, ერთიორად გაზრდილიყო და წელში გაშლილი მთელი თავისი სიმძლავრით დასტეხოდა ქვეყანას.

სოფელი ჩანჩქერი კი ამ დროს ღრმა ძილში იყო. ადამიანსა და ბუნებას პირი შეეკრათ და მოსვენების ტკბილ ბურუსში გახვეულიყვნენ.

ცეცხლი ხალხის დუმილით გახარებულიყო, ადამიანის სიძულვილით ივსებოდა და სიცოცხლის ყოველივე ჩანასახს განადგურებას ემუქრებოდა.

— გვიშველეთ, ხალხო, ვინა ხართ დამხმარე! სახლი იწვის, ბოსელი... ვიღუპებით!—ყვიროდა და ძილს უფრთხობდა სოფელს ვიღაცა კაცი, რომელიც პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა გამოვარდნილიყო კარზე. შორიდან მაყურებლისათვის ის თითქოს ცეცხლის ალში იყო გახვეული, მაგრამ არ იწვოდა, ცეცხლი არ ეკარებოდა. ციბრუტივით ერთი ადგილიდან მეორეზე გადარბოდა, ხესა და ქვას ედებოდა.

— ბახხხ... ბახხხ... შუშუშ... — შრიალებდა, ტკაცუნობდა, სკდებოდა და იშლებოდა უკვე ცაში ავარდნილ ცეცხლის ტალღებში მოქცეული სახლი და ბოსელი. იგივე ცეცხლის ნაკადები უშველებელ დიდ ჩირაღდნებად დანთებულიყო და მთა და ბარი გაეშუქებინა. დღესავით სიხათლე იდგა. შუქმომფენი ელვარება ხალხს ძალით ეჭრებოდა სახლში და დიდსა და პატარას გულხეთქით აღვიძებდა.

— ადექით, ტანთ ჩაიცვით... უშველეთ სოფელს, თქვენ თავს. საშინელი ხანძარი მოგდგომიათ კარზე!— ვიღაცის საიდუმლო ხმა ჩასძახოდა კაცს ყურში და ყველას რაღაცა ძალდატანებით ერეკებოდა იქითკენ, სადაც ცეცხლის სტიქიონი თავაშვებული მძვინვარებდა და ბობოქრობდა.

გომურებში, ნასახლარის დანგრეულ ჯურღმულებში ასტყდა უცბად შინაურ ფრინველთა მოუსვენარი ღავღავი და ფრთების შრიალი, ძაღლების საზარელი ყეფა, მუშა საქონლის ბღავილი... შეინძრა და შეიშმუშნა სოფელიც. ქალი და კაცი ზეზე წამოდგა. ხანძრისაკენ გარბოდა ყველა. ზოგს ფეხზე ჩაცმა ვერ მოესწრო, თავშიშველა, ტიტლიკანა მიეშურებოდა ცეცხლისაკენ, რომ დაუპატიჟებელ სტუმარს ღირსეულად შებრძოლებოდა. მაგრამ არც ცეცხლი იყო უმოქმედოდ გაჩერებული. ხანძარი ახლა სხვა ადგილას გაჩნდა. ცეცხლი ხის ბოძზე მდგომ სათივესაც მოედო. დაბერა სიომ, პატარა ქარი ქარიშხლად იქცა და დამწვარი თივის ნაპერწკლების უამრავი ბურთული შეისროლა ცაში. ცეცხლის ენებმა ქარის მიმართულებით იწყო ჰაერში სიარული, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა, გადაფრენა. საშინელი სისწრაფით მოედო ხანძარი იქ, სადაც საცხოვრებელი ბინის ახლოს ან

საბძელი, ან ძეძვით შემოვლებული ბაკი და ჩალით დახურული სათონე იყო. ერთ წამს თითქოს მთელი სოფელი ცეცხლის შუაგულში მოექცა. გლეხობა ძლივს ასწრებდა სახლებიდან მძინარე ბავშვებისა და ავადმყოფების გამოყვანას. ცეცხლისაგან დამფრთხალი პირუტყვი ბაკიდან ღობეზე ხტებოდა და გონებადაკარგული ბღავილით

ცეცხლისაგან დამფრთხალი პირუტყვი გარბოდა.

მოედანსა და ბაღ-ვენახებში გარბოდა. სოფელ ჩანჩქერში იყო ერთი უბედურება: ერთმანეთის განუწყვეტელი ძახილი, უთავბოლო ყვირილი, შფოთვა და თავისმტვრევა. სოფლის დიდი ნაწილი ცეცხლში დაიწვა და დაიბუგა. ოცი კომლი გლეხი დარჩა უსახლკაროდ, უბინაოდ, ცალიერ-ტარიელი.

უკვე გათენდა. ღამის სიბნელეში მომხდარი საშინელება ყველასთვის თვალდასანახი და გასაგები გახდა. სოფელი ჩანჩქერი ხანძარს უდაბნოდ გადაექცია. შენობებიდან მარტო კედლები-ღა გადარჩენილიყო. მოსახლეობის ბინადრობა და მოწყობილობა ცეცხლს ჩაენთქა, გაენადგურებინა. აქა-იქ შავად ატრუსული, დამტვრეულ-გატეხილი ავეჯეულობა და ხის მასალა ეყარა. ღამენატეხი, ცეცხლთან ბრძოლით მოღლილი ხალხი უგონოდ მიგდებულიყო იქ, სადაც მოხვედროდა, და ძილს მისცემოდა. ალაგ-ალაგ ახლად ჩაქრობილ სახლის კედლებს და მის გადარჩენილ სახურავებს, თავხეებს, ჭერს ორთქლის ოშხივარი ასდიოდა. ხმაგაკმენდილი, დადუმებული გლეხობა თავის უბედურებას გულხელდაკრეფილი შესცქეროდა და არ იცოდა, რა გამოსავალი გზა მოენახა. მძიმე და აუტანელი იყო მათი მდგომარეობა.

— ხალხო, რას გაჩუმებულხართ და არას იტყვით რა ვაკეთოთ, ვის მივმართოთ, სად წავიდეთ?—ეკითხებოდა თითოეული მათგანი მეორეს, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა, სანუგეშოს ვერავინ ამბობდა.

— დავიქეცით, დავიღუპენით და ის არის... აბა რა გვეშველება?

— მაშ რა ვუყოთ? ჩვენივე ხელით თავს ხომ არ მოვიკლავთ! ცხოვრება გვინდა, ქვეყანაზე გასვლა...

როცა კი სოფელი თავს მოიყრიდა, ილაპარაკებდენ, იყაყანებდენ, ცოტა ჩხუბიც კი მოუვიდოდათ და შემდეგ იმედგაცრუებულნი უხალისოდ დაიშლებოდენ, თავის ბინას მიაშურებდენ. მართალია, სოფელ ჩანჩქერში მომხდარი ხანძრის შესახებ გაზეთებშიც ბევრი რამ დაიწერა, მუშურ-გლეხურმა მთავრობამ დიდი დახმარებაც კი აღმოუჩინა ცეცხლისაგან დაზარალებულ ოჯახებს, მაგრამ ცხოვრების საბოლოოდ მოგვარებაზე, გადამწყვარი სოფლის აღდგენაზე ისევ გლეხებს უნდა ეზრუნათ.

— ხალხო, მოიცათ... ყური დამიგდეთ. მეც ამ სოფლის შვილი ვარ, თქვენი მახლობელი და მეზობელი! — მკვეთრად ამბობდა თავისი სიტყვების სიმართლეში დარწმუნებული თემსაბჭოს წევრი ნიკო სილაშვილი.

— რა ვუყოთ, რომ სახლი არ დამწვია, ცეცხლმა ჩემამდე ვერ მოაწია, სოფლის საცოდაობა და უბედურება ცეცხლზე უარესად მწვავს და გულს მიკლავს. მზად ვარ-გავიღო მეც ყოველივე მსხვერპლი და გვერდში ამოვუდგე ყველა ჩაგრულს, ცხოვრებაში გაწამებულს. ძმებო, მოდი და გავერთიანდეთ ერთ ოჯახში, ვიცხოვროთ მუშურად, ამხანაგურად... დავაარსოთ კომუნა.

— კომუნა! რა არის კომუნა, აგვიხსენი, ნიკო.

— კომუნა თვითონ ჩვენ ვართ და ვიქნებით. კომუნა გლეხის ცხოვრებაში ისეთ წესს დაამყარებს, როცა გლეხს თავისი ოფლი და ნაშრომი თვითონვე მოხმარდება. შრომის გაერთიანება სოფელს საბოლოოდ შეაკავშირებს, მოსავლიანობას ერთი-ათად გაზრდის და გააუკეთესებს, მოსპობს სიღარიბეს, უვიცობას და ჩამორჩენილობას. კომუნა მოგვიტანს ერთმანეთის სიყვარულს, ძმობას და თავისუფლებას.

ამგვარ მსჯელობაში გადიოდა დრო და ჟამი. გლეხები უფრო და უფრო რწმუნდებოდენ ნიკო სილაშვილის სიმართლეში. სხვა გამოსავალი გზაც არა ჩანდა. სოფელ ჩანჩქერში ას სულზე მეტი მოსახლეობა პატარა ბავშვებითა და ქალებით კარზე ათენებდა ღამეს. უკვე ზამთარი ახლოვდებოდა, და რამდენიმე კომლის გარდა სოფელში სარჩო-საბადებელი არავის მოეპოვებოდა. მაგრამ, რაც უმთავრესი იყო, ბინა, თავშესაფარი არა ჰქონდათ. ხალხს ან მოწყალების ხელი უნდა გაეშვირა, მათხოვრობა უნდა დაეწყო, ან ხელახლა საცხოვრებელი ბინები აეშენებინა, ეს კი ადვილი საქმე არ იყო.



დავაარსოთ კომუნა...

— ცეცხლმა ოცი კომლი გლეხი დაღუპა და დაანელა... ხალხო, შევძლებთ ახლა ოცი სახლის, ოცი ბოსელის, სათონისა და საბძლის აშენებას?

— არ შეგვიძლია, არა!

— ისევ ჩემ სიტყვას ვუბრუნდები: მაშ დავაარსოთ კომუნა!

ნიკო სილაშვილი კიდევ თავის ნათქვამს უტრიალებდა და კიდეც განახორციელა.

—იდღეგრძელოს მშრომელი გლეხობის შეკავშირებამ!

ერთი გულისცემით და სულიერი აღფრთოვანებით სთქვა სოფელი ჩანჩქერის გლეხობამ და გადასწყვიტა კომუნის დაარსება.

* *

სოფელი ჩანჩქერი ღარიბი და ღატაკი გლეხობისგან შესდგებოდა. მეფის დროს ისინი დროებით ვალდებულ გლეხობად ითვლებოდენ და სხვის სამსახურსა და მოახლეობაში ამოსდიოდათ სული. ბატონი და ეკლესია, მეფე, მისი მოხელე,—ყველანი გლეხის ოფლით ირჩენდენ თავს, ხოლო თვით მშრომელი გლეხობა კი სიმშილსა და გაჭირვებაში იხოცებოდა. ამიტომ იყო, რომ სოფელ ჩანჩქერში ბევრ გლეხს მუშა-საქონელი არ მოეპოვებოდა. ზოგს კიდევ ერთი ხარის, ან ძროხის მეტი არ გააჩნდა. იყვნენ, რასაკვირველია, ისეთებიც, რომლებსაც ხარკამეჩი, ძროხა და ცხენიც კი ჰყავდათ, მაგრამ ასეთები ძალიან ცოტა მოიძებნებოდა. ამნაირად გლეხობა სოფელ ჩანჩქერში მაინცა და მაინც ვერ დაიკვეხებდა თავისი სიმდიდრით, მაგრამ საკმარისი გახდა ჩანჩქერში გლეხობა კომუნაში შეკავშირებულიყო, რომ სახალხო ქონება, სოფლის სარჩო-საბადებელი ერთი-ორად გამოჩენილიყო და გაზრდილიყო... თვალი და გული გაძლა! ცალკე ბილიკებით კომუნაში მიმავალი ერთეულები საჯაროდ გაშლილ დიდ შარაგზაზე გამოვიდენ, იქ თავმოყრილს მთავარ ნაწილს შეუერთდენ, აავსეს და გაამდიდრეს გლეხის ცხოვრება.

რატომ არ იცოდა დღემდე სოფელ ჩანჩქერში მცხოვრებმა გლეხობამ, რომ კომუნაში ყოფნა დიდი სიკეთე და ბედნიერება იყო!...

გლეხი მხოლოდ ჩვენ დროში მიხვდა, მხოლოდ ეხლა დაინახა სიმართლე და ცხოვრების მთელი სიდიადე, ადამიანის შემოქმედება.

კომუნამ გაასპეტაკა და გააკეთილშობილა თითოეული მისი წევრი.

სოფელ ჩანჩქერში მოწყობილ კომუნაში გლეხი აღარ იცნობოდა: შრომა და სიმხნევე იყო გამეფებული, მუშაობაში ვინ ვის დაასწრებდა, ვინ ვისზე მეტს გააკეთებდა! ერთი მეორეს ასწრებდა ვაჟკაცობასა და გამრჯელობაში. გაქრა ის წვრილმანი ურთიერთმძულვარება და უხეში მეტოქეობა, რომელიც დღესაც არის სოფელში. სოფელ ჩანჩქერის კომუნაში ნამდვილი ძმობა და ამხანაგობა დამყარდა. რაღაცა ძალამ შეაკავშირა გლეხობა, ერთმანეთი შეაყვარა და ერთ სხეულად შეადუღა. სიღარიბე შენელდა, მისი ადგილი სიმდიდრემ და მოსავლიანობამ დაიჭირა. ოცი და ორმოცი მუშა-ხელი შეერთდა, მწყობრად, ერთი ნებისყოფით ამუშავდა. კომუნაში გაერთიანებულ სოფელს აღარაფერი გაუჭირდა. სულ რაღაცა ერთი წლის განმავლობაში კომუნამ უზარმაზარი საუკეთესო სახლი ააგო. მთელი სოფელი ამ ერთ შენობაში მოთავსდა. კომუნის შენობა ოთახებად დაჰყვეს და თითოეულს ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით ცალკ-ცალკე ოთახები მიეცა.

კომუნები კერძო ცხოვრებაში ცალკე ოჯახებად იყვნენ, ხოლო საერთო საქმიანობაში ერთად. კომუნას განაგებდა საბჭო, რომლის მეთაურად ერთხმად ნიკო სილაშვილი ამოერჩიათ. კომუნის მდგომარეობა დღითიდღე უკეთესდებოდა, ის წელში მაგრდებოდა და წინ მიიწევდა.

კომუნის დაარსების წლისთავი ახლოვდებოდა. მშრომელ გლეხობას გადაეწყვიტა ბრწყინვალედ ჩაეტარებინათ ეს დღესასწაული. კომუნის მთელი შენობა გლეხებს სურნელოვანი ყვავილების გრეხილებით და წითელი დროშებით მოერთოთ. ყველას თავისი სამუშაო ჰქონდა მიჩენილი და მათთან ერთად კომუნაში მცხოვრებ ბავშვებსაც კი. ბავშვების ხელმძღვანელად და მეთაურად ნიკო სილაშვილის ათი წლის გოგო ანო ითვლებოდა. მაგრამ პატარა ანოს გულისყური და ფიქრი თვით საქმეს ახლოც არ გაკარებია. ანო რაღაცა მიზეზით მამას დასდევდა უკან და უნდოდა მარტო ჩაეგდო ის ხელში. უცბად მიეპარა ის ნიკოს და მსწრაფლ კისერზე ჩამოეკიდა, თან კიდევ წყრომით რაღაცა წასჩურჩულა მამას.

— გოგო, შენა ხარ? აი, შე კუდრაჭავ!

— იცი, მამილო, მე შენზე ძალიან გამწყრალი ვარ, გულნატკენი...—სთქვა ანომ და მსწრაფლ მოსწყდა ნიკოს კისრიდან და გაბუტული განზე გადგა. რანაირად არ მიეფერა მამა თავის ერთადერთ შვილს, რას არ დაჰპირდა, მაგრამ ამაოდ. პატარა ცელქი აღარა ხუმრობდა, და ნიკოსაც მისთვის ანგარიში უნდა გაეწია.

— ანო, რათ მიწყრები?

ობლები, უპატრონო ბავშვები არ გებრალებათ...

— დამანებე თავი... აღარ მიყვარხარ! — იბღვირებოდა, თავისთვის რაღაცას ბურტყუნებდა პატარა ანო და ძალზე სწყინდა, რომ ნიკო ვერ მიუხვდა მას, რასაც ფიქრობდა.

— მე აღარ მიყვარხარ მეთქი, მამა... ხომ გითხარი!

— რათა, გოგო, რა დაგიშავე?

— ისა, რომ.. რათ მინდა თქვენი კომუნა, მარტო ლაპარაკობთ და...

— კიდევ, კიდევ?

— ობლები, უპატრონო ბავშვები არ გებრალებათ..

— ვისი ობლები, შვილო... სად არიან მერე?

— დიაღ, ვითომ არ იცი.

— ანოს გაზრდამ, არ გამიგონია.

— მამა, ნუ დამიმალავ, მართალი სთქვი: კომუნა მარტო დიდებისთვისაა მოგონილი?

— ჰოოო.. ტყუილი უთქვამთ შენთვის! კომუნა მომავალი თაობის, მომავალი ცხოვრების წინამორბედი და გამომხატველია. ჩვენ, დიდები, მხოლოდ თქვენთვის, ახალგაზრდობისათვის, ვმუშაობთ და ოფლსა ვღვრით...

— კარგი, კარგი... აბა, ახლა გეტყვი: სოფელ ჩანჩქერში დაბრუნდენ დიდი ხნით სხვა ქვეყნებში წასული ნარიყაანთ ობლები: პატარა მართა და ლუკა. მათი მშობლები ოდესღაც სახადს ამოუწყვეტია, ოჯახი გაოხრებიათ, დანგრევიათ, და ეს ორი ობოლი დღესაც თურმე სოფლიდან სოფელში მათხოვრებად დაიარება. ვინ არის მათი პატრონი და მომვლელი, თუ არა კომუნა, თუ არა ჩვენ ყველანი? მამა, მე მარტო ჩემით არ გელაპარაკები, კომუნის მთელი ახალგაზრდობის კავშირი მოითხოვს, რომ ობოლი და-ძმა დაუყოვნებლივ მივიღოთ კომუნაში.

ამ დროს კომუნის დიდ ზვარში რაღაცა ჩოჩქოლი ასტყდა. კომუნის ბავშები გარს შემორტყმოდენ ნარიყაანთ ობლებს და ხმამაღლა ლაპარაკითა და ყიჟინით მოუძღვებოდენ კომუნაში სტუმრად მისულ პატარა მართასა და ლუკას. ეტყობოდა, რომ ბავშობა, განურჩევლად დიდისა და პატარისა, სიბრალულით და პატივისცემით ეკიდებოდა ბედისგან დაჩაგრულ მათხოვრებს. როგორ დაუხვდებოდა მათ თვით კომუნა, გაიკითხავდა, ჩააცმევდა, აჭმევდა, მიუალერსებდა? — კომუნის თითოეულ პატარას ეს კითხვები ძალზე აღელვებდა და აფიქრებდა. ნუთუ მათ კომუნაც ისე უგულოდ ჰკრავს ხელს, როგორც ამას ქალაქებსა და სოფლებში კერძო ადამიანები სჩადიან? მაშინ რით განსხვავებულა კომუნა კერძო ადამიანის ცხოვრებისაგან! არა, კომუნა გულცივად ვერ მოექცევა ქვეყნის უკულმართობით გატანჯულ და წამებულ პატარა ობლებს. კომუნა უსათუოდ დიდს გულუხვობას, სამართლიანობას და კაცთმოყვარეობას გამოიჩენს მათ მიმართ, პატარა მართა და ლუკა გაიზრდებიან, გაიცნობენ ცხოვრებას, ხალხს და კომუნის საუკეთესო წევრები გახდებიან. კომუნა აუცილებლად იშვილებს პატარა ობლებს და ღირსეულადაც აღზრდის მათ.

კომუნის დღესასწაულზე მახლობელი და შორეული სოფლებიდან დიდძალი სტუმარი მოსულიყო. იყვნენ ქალაქიდან მუშები და ცნობისმოყვარენი. გაიხსნა კომუნის ეზოში საზეიმო კრება და მრავალი სარევოლუციო სიტყვა წარმოითქვა. კომუნის ქება-დიდებას იქ დამსწრე გლეხობა „ვაშას“ ძახილით და ტაშისცემით ეგებებოდა. უცბად გაიპო შექუჩული გლეხობის წრე და ტრიბუნად გაკეთებულ მაგიდაზე სწრაფად ახტა პატარა გოგო, რომელიც მეტი მღელვარებისგან თრთოდა და კანკალებდა. ეს იყო პატარა ანო, რომელიც ნარიყაანთ ობლების ამბავს ახლა ქვეყანას აცნობდა.



კომუნის დღესასწაულზე დიდძალი სტუმარი მოსულიყო.

— მე, მე... ლაპარაკი არ შემიძლია. პატარა ვარ... მივიღოთ ჩვენს კომუნაში ნარიყაანთ ობლები მართა და ლუკა... — ძლივს გადააბა სიტყვები ერთმანეთზე პატარა ანომ, გაწითლდა, შემდეგ გაფითრდა, მაგრამ თქმა და საქმით გადაწყვეტა და-ძმის კომუნაში მიღების შესახებ მან დაასწრო როგორც კომუნას, ისე მის ხელმძღვანელს ნიკო სილაშვილს.

ობლები მთელი გლეხობის თანასწრებით მიიღო კომუნამ თანასწორ წევრებად.

გ. პარკაძე

ბავშთა საერთაშორისო მეცხრე კვირეული

სადაც კაპიტალისტები ბატონობენ, იმ ქვეყნებში ახლა მეცხრეჯერ გამოვლენ მშრომელების ბავშები ქუჩებში წითელი დროშებით და მოითხოვენ თავისი მძიმე ცხოვრების გაუმჯობესებას.

ბავშთა კომუნისტური ჯგუფები უფრო მტკიცედ იბრძოლებენ თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ, მოითხოვენ, რომ მოისპოს ბავშთა შრომის ექსპლოატაცია, მოწაფეთა ცემა-ტყეპა სკოლებში, ეკლესიის ხელში არ იყოს სკოლა, ბავშებს პროლეტარული აღზრდა მიეცესთ, პიონერ-ორგანიზაცია არ იყოს დევნილი და თავისუფლად შეეძლოს მუშაობა.

ბავშები მოზრდილ მშრომელებთან ერთად პროტესტს გამოუცხადებენ ბურჟუაზიას, რომელიც ემზადება ახალი იმპერიალისტური ომისთვის, ისინი დაჰგმობენ ინგლისის ძალადობას ინდოეთში, მხარს დაუჭერენ საბჭოთა კავშირს და იმ ხალხებს, რომელნიც თავის განთავისუფლებისათვის იბრძვიან.

ბავშთა კომუნისტური კავშირები მსოფლიოს 22 ქვეყანაში გააძლიერებენ ამ კვირეულის დროს პროპაგანდას ბურჟუაზიულ სკოლაში, მოედნებზე, ქუჩებზე, ოჯახში და ბავშთა სხვადასხვა ორგანიზაციაში, რომელნიც აბრუებენ პროლეტარულ ბავშებს; ისინი წავლენ სოფელში, რომ დარაზმონ გლეხების ბავშები საერთო ბრძოლისათვის.

საქართველოსა და მთელი საბჭოთა კავშირის პიონერები ამ კვირეულში შეაჯამებენ თავისი 8 წლის ნამუშევარს და ჰოემზადებიან საზაფხულო ბანაკობისათვის; ისინი მხიარულად და თავისუფლად ივლიან საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და სოფლებში, მაგრამ ვინ იცის, რა შეემთხვევათ ამ შვიდ დღეში (19 — 26 მაისი) კაპიტალისტურ ქვეყნებში მცხოვრებ ჩვენს პატარა ძმებს!

მუშების რამდენ ასიათას ბავშს მოხვდება თავში სახაზავი გამხეცებულ მასწავლებელთაგან ბურჟუაზიული დასავლეთის სკოლებში, რამდენ ასიათას ბავშს გალახავენ პოლიციელები რეზინის ჯოხებით ბერლინის, ლონდონის, ნიუ-იორკის, პარიზის, ვენის, ვარშავის და პეკინის ქუჩებზე.

ეს უნდა ახსოვდესთ საბჭოთა კავშირის ბავშებს და მჭიდროდ უნდა დაუკავშირდენ საზღვარგარეელ ბავშებს, რომ დაეხმარონ მათ მძიმე ბრძოლაში.

ბავშთა საერთაშორისო მე-IX კვირეულს საბჭოთა კავშირის თითოეულმა პიონერმა უნდა შეიტანოს თავისი ინტერნაციონალური წვლილი, თუნდაც 1 კაპეიკი, კოლექტივმა.

ეს ფული, ყველა პიონერ-კოლექტივში შეგროვებული, გაიგზავნება დასავლეთის, ამერიკის და აღმოსავლეთის ყოველ ქვეყანაში პიონერთა ბავშებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. პიონერთა და მოწაფეთა კაპეიკებით ბავშთა კავშირები უფრო მეტ ფურცლებს, გაზეთებს და პლაკატებს გამოსცემენ, რომ აცნობონ საზოგადოებას სრული სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ, რომ აუხსნან პროლეტარულ ბავშებს მათი მიზნები და რევოლუციონური ბრძოლის ლოზუნგები.

თითოეულმა კოლექტივმა, თითოეულმა პიონერმა, ოქტომბრელმა და მოწაფემ უნდა შეასრულოს თავისი საერთაშორისო ვალი.

გ. აბესაძე.

ძია ვასოს ამქრები

აი, თუნდაც ეხლაც ისმის
საამქროდან ძიას ხმანი,
სადაც შრომობს სხვებთან ისიც
და ურიცხვი ხელოსანი.

თუმც მოხუცდა ძია ვასო,
თუმცა გახდა სახემკნარი,
მაგრამ მაინც ძვირად ფასობს
მისი ოფლის ნიაღვარი.

მდიდარია ძიას ენა,
ტკბილია და მეგობრული,
და მუშებში მასთან ჩვენაც
მეგობრები გავხდით სრული.

შრომის საქმე მუდამ ახსოვს,
განუყრელი და კეთილი,
პატარებიც უყვარს ვასოს,
პიონერთა კოლექტივიც.

იცის ძიამ, რომ პატარებს
მანქანები უნდათ ნახონ,
და ხშირადაც დაატარებს
საამქროში ღუმლის ახლოს.

— „ეს მანქანა — მარტავს ძია,
— წლითი-წლობით არის
გამძლე“,
პატარებიც რიგებს ცვლიან,
და ძია კი ახსნას აძლევს.

ხშირად ამ დროს ბევრი არის,
ძიას ქებას ამბობს ფიცით.
და ბევრია იმათგანი,
დახმარებაც რომ სურს მისი.

და... ეს მოხდა გუშინ, მგონი,
როს ვშრომობდით სხვასთან
ჩვენაც,
საამქროში მთელი რგოლი
შემოვიდა ძიას შველად.

აი, დგანან რგოლებივით
ღუმელთა და ღვედებს შორის
და სურთ—მთელი კოლექტივი
დაეხმაროს ერთგულ შრომით.

ზოგი მისწვდა რკინას
მხურვალს,
ახმაურდა გუნდი ხშირი,
ზოგსაც უნდა მაღალ
ღუმელს
მიაწოდოს ქვანახშირი.

თითქო გახდენ ხელოსანნი,
შეჩვეულნი შრომას ამგვარს,
და თავს ყველა იმათგანი
უწოდებდა „ძიას ამქარს“.

მაგრამ ძია ანთებს თვალებს
და თან ყვირის თითქო შიშით:
„ხელს ნუ მიშლით, დამაცალეთ,
დამაცალეთ, ხელს ნუ მიშლით!

ხომ ერთბაშად ვერ გახდებით
მოხუცებულ მაშვრალთ
მცვლელნი!
მე ამ საქმის სწავლა-ცოდნას
მოვანდომე სიყრმე ჩემი“.

და ბავშებიც ერთხმად
სწყვეტენ:
ვერ დაღალოს შრომამ
ხანგრძლივ,
მრავალ წელთა შრომის შემდეგ
მოუტანონ მაშვრალთ ღვაწლი.

ირაკლი აბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვამტკიცოთ ინტერნაციონალური აღზრდა.

მოზარდი თაობის ინტერნაციონალურად აღზრდის საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია, მაგრამ დღემდე ამ მიმართულებით მუშაობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. უამრავი ფაქტია ჩვენი პიონერთა ორგანიზაციისა და სკოლის მუშაობიდან, რომელიც მოწმობს, რომ დღემდე სავსებით აღმოფხვრილი არ არის ეროვნული შუღლი სხვადასხვა ეროვნების ბავშთა შორის.

ეროვნული შუღლის ნიადაგზე არასასიამოვნო მოვლენებს აქვს ადგილი, როგორც: დაცინვა და დამცირება სხვა ეროვნების ბავშის, მტკიცება, რომ ებრაელი ბავშები „ყარან“, „ადამიანის სისხლს ხმარობენ საჰმელში“ და სხვა. ასეთ ჭორებს ავრცელებენ ისინი, ვისაც სძულს საბჭოთა ხელისუფლება, ვისაც სძულს მუშათა კლასის მშვიდობიანობა.

ასეთი ჭორების საწინააღმდეგოდ საჭიროა სათანადო მუშაობის წარმოება სკოლებსა და ოჯახში, საჭიროა

საჭიროა პიონერთა კოლექტივები და სკოლები გაეცნონ სხვა ეროვნების კოლექტივებისა და სკოლების მუშაობას; ამ მიზნით საჭიროა წერილობითი კავშირის გაბმა მეზობელ რესპუბლიკებთან, დროგამოშვებით წარმომადგენლების გაგზავნა მათთან, ინტერნაციონალური საღამოების მოწყობა, გაგზავნა ჟურნალ-გაზეთების ნამუშევრის და სხვა. **საქ. პიონერთა ორგანიზაცია შეფია გერმანიის ვიურტემბერგის ოლქის პიონერთა ორგანიზაციისა,** მაგრამ ჩვენი პიონერები ნაკლებად იცნობენ მათ მუშაობასა და ცხოვრებას. საჭიროა დახმარება გავუწიოთ მათ, საჭიროა გავავრცელოთ მათი ჟურნალი **„დი ტრომელ“** — ამით განვამტკიცებთ მათ პრესას, რომელიც ბავშთა შეკავშირების საუკეთესო იარაღია და, მეორეს მხრივ, გავეცნობით მათ ცხოვრებასა და მუშაობას.

ინტერნაციონალურ მუშაობაში ბევრი მიღწევა აქვს ტფილისის ორგანიზაციას. მაგალითად, ინტერნაციონა-



დუშეთის ახალშენი. ფუნიკულიორის მოდელის დამმზადებელი ნ. პ. ჯგუფი

შევაგნებინოთ ყველას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა ერს მიანიჭა თავისუფლება, ჩვენში არ არსებობს არავითარი განსხვავება ეროვნებებს შორის, ჩვენ ყველანი ერთმანეთის ძმები ვართ.

ამ მუშაობის წარმოებაში პიონერთა ორგანიზაციამ აუცილებლად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს, ხელმძღვანელობაც გასწიოს და ჩაებას ამ მუშაობაში შეუკავშირებელი ბავშები.

ინტერნაციონალური აღზრდის განმტკიცების მიზნით საჭიროა ყველა სკოლასა და პიონერ-კოლექტივში ჩამოყალიბებულ იქნეს სპეციალური ინტერნაციონალური კუთხეები. კუთხეებში გროვდება ინტერნაციონალური მუშაობის მასალები: სხვადასხვა კოლექტივებიდან და სკოლებიდან გამოგზავნილი წერილები, ალბომები სურათებით — ბავშთა და მუშათა ცხოვრებიდან, პლაკატ-ლოზუნგები, წიგნები და სხვა. ამ კუთხეებში ტარდება საუბრები, რომლის ჩასატარებლად გამოყენებული უნდა იქნეს კულტურული ძალები.

ლური კავშირის განმტკიცების მიზნით ქ. ტფილისის პიონერთა ორგანიზაციამ სათანადო ნაბიჯი გადასდგა. გარდა იმისა, რომ თითქმის ყველა კოლექტივს გაბმული აქვს წერილობითი კავშირი სხვადასხვა ეროვნების კოლექტივებთან, **ტფილისის პიონერებმა სპეციალური დელეგაცია გაგზავნეს ბელორუსიაში ებრაელთა კოლმეურნეობაში მათი მუშაობის გასაცნობად. ტფილისის პიონერებმა დაავალეს თავის დელეგაციას შეესწავლათ ებრაელ ბავშთა ცხოვრება და მუშაობა. ტფილისის პიონერებმა უამრავი მასალა და საჩუქარი გაუგზავნეს თავის მოძმეებს, ამხანაგებს — ებრაელ ბავშებს.**

დელეგაციას აგრეთვე დავალებული აქვს ჩამოიყვანოს ბელორუსიიდან ებრაელ ბავშთა დელეგაცია ჩვენი მუშაობის გასაცნობად. ასეთი ურთიერთ ცოცხალი კავშირით ინტერნაციონალური აღზრდა განმტკიცებული იქნება.

ანდრო კაპანაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავი

I

სოფელ N-ს მოსვენება არა ჰქონდა ერთ ნაცრისფერი დათვისაგან. ბალღებს მისი შიშით ტყეში ვერ გაევლოთ: რომელ ხეზეც მწიფე პანტა ან თაფლი იყო, ეს დათვი მისი მაყარი იყო, იქ იყო წამოსკუპული და უიარაღო სოფლელი გზას აუხვევდა ხოლმე, სიტყვას ვერა ჰკადრებდა...

ტყის ეს შეუპოვარი „პატრონი“ სოფელსაც არ ინდობდა, აბუჩად იგდებდა: ბევრჯერ გადაიპარებოდა ხოლმე ვენახებში და დათარეშობდა, საქონელზე მიტანებასაც არ თაკილობდა...

თითქო განგებ, ეს გალაღებული ნადირი უფრო ქვრივ-ობლის ნაოფლარს ემტერებოდა; აგერ ამასწინათ ბეჩავ ქეთოს ჭირნახული მთლად ფეხქვეშ გათელა, მურიაც კი წაახრჩო, რომელმაც ყეფა გაუბედა...

ამიტომაც იყო, რომ ქეთოს მეზობლის შვილმა სანდალამ თავი გამოიდო და ამ გათამამებულ მხეცს ტყეში შეფეთების დროს ხანჯლით ყური ჩამოაცალა.

მასაქეთ ამ დათვს „ცალყურა დათვი“ დაარქვეს, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა, უფრო გაბრაზდა და განრისხდა..

მოკლავდენ ამ გამჩანაგებელს, მაგრამ... სოფელს თოფი არ გააჩნდა რიგიანი, იმას უბრალო თოფი კი ვერას დააკლებდა. მის სქელ ტყავს მხოლოდ შაშხანის ტყვია შეატანდა, შაშხანის შოვნა კი ძნელი იყო.

II

წამდაუწუმ ისმოდა სოფელში ჩივილი:

— ჩაფარ-ურიადნიკი მოვიშორეთ თავიდან, მღვდელს ჩაილულის წყალი დავალევინეთ და რა გახდა ეს შეჩვენებული?! ჰმ! სახლიკაცად შეგვეყარა სწორედ!.. აი, დაიწყევლოს მისი გაჩენის დღე!..

— ნუ წუწუნებთ, ნუ გეშინიათ, — ანუგეშებდა ხალხს სანდალა: — მალე მტერი მოგიკვდესთ, მალე მე ის მოგაშოროთ თავიდან! ეს ერთი ყური ხომ ჩამოვაცალე, მალე მის ცვრიან წვადსაც გაჭმევთ; თქვენ ერთი კაი მარჯვე თოფი მიშოვეთ, სხვა არაფერი...

— მე ნათხოვარი მაქვს თოფი, — გამოეხმაურა ამხანაგი სიკო: — ჩადი ქალაქში და მოგცემენ...

— სად? ვინ უნდა ვიკითხო? ქალაქი დიდია.

— მონადირეთა კავშირში იკითხავ კომკავშირელ ბესოს, მოგცემს... ძველი დრო აღარ არის, რომ სოფელი უპატრონო იყოს!..

III

სწორედ ის დროა, როდესაც გაფხეკილ ტყე-მინდორში საკვები ილევა, და დამშეული ნადირი გამოდის ტყიდან გაუმაძღარი კუჭის ამოსავსებლად.

მაშინ ეს მხეცი საქონელს კი არა, კაცსაც ეტანება... სუსხიანი ზამთარია, და თეთრი ზეწრითაა დაფენილი არემარე...

სანდალას „შაშხანა“ უშოვნია ქალაქში და მხარზე გადაგდებული მოეშურება სოფლისკენ...

ახლად შებინდებულია, და ცივი სუსხი უჯდება ადამიანს ჯანში.. მარტოდ-მარტო მოჩანს ტრიალ მინდორზე ჩვენი სანდალა, სხვა არავინაა.

მოუახლოვდა თუ არა სანდალა სოფელს, გაღმიდან რაღაც საზარელი განგაში მოესმა. მან ხელად მოიმარჯვა თოფი. ერთი ხის მახლობლად, გზის იქით, მას დათვისებური ღრიალი და მგლების ყმუილი მოესმა.

ცოტა არ იყოს, სანდალა შეფიქრიანდა:

— აქ რაღაც ამბავია... ალბათ, დათვს მგლები დასდევნებიან. არიქა, თავს უნდა ვუშველო... ჰმ! იმას თავი არ გაანებონ და მე კი არ მეცენ, მე კი არ მეძგერონ! განა რომელი ერთი უნდა მოვიგერიო?!

IV

სანდალამ აშკარად დაინახა, რომ „ყურმოჭრილ“ დათვს მოსდევენ მგლები, ეს დათვი კი პირდაპირ მისკენ მოექანება...

სანდალა არ დაიბნა: არც აცივა, არც აცხელა და ხეზე ავარდა... ერთი თვალის დახამხამებაზე ეს დათვიც აძვრა ხეზე.. სანდალა ხეს წვეროზე მოექცა, დათვი კი უფრო დაბლა იყო.

მგლების ხროვა ამ ხეს შემოეხვია. ძირიდან მგლების მუქარა-ღმუილი ისმის, მაღლიდან კიდევ — დათვის კბილების ღრჭენა. შორიახლო — ძაღლების ყეფა...

ყურმოჭრილი დათვი „ესტუმრა“ სანდალას ხეზე...

ამ უცნაური და მოულოდნელი სანახაობით გაშტერებულია იგი. მართალია, მას შაშხანა ხელში აქვს, მაგრამ არ იცის როგორ მოიხმაროს, რომელი ერთი მოიგერიოს?! თანაც შიშობს: „ვაი თუ დათვი მომვარდეს და ძირს ჩამაგდოს, თოფი რომ დავუმიზნო... რამდენიმე ტყვია მაქვს და მგლებს რომ მოვახმარო, მერე რიღათი გავცე პასუხი დათვს?!“

მგლებს კი ამ დროს ერთი ალიაქოთი უდგათ: ჯავრით ხეს ღრნიან, ყმუიან... ცდილობენ, ხეზე შეხიზნულნი ხელიდან არ გაუშვან...

სანდალა, ცოტა არ იყოს, შიშმა აიტანა კიდეც და ხმამაღლა გასძახა სოფელს:

— მიშველეთ, ვინა ხართ მანდ! დათვის და მგლების გადამკიდე ვარ!.. ჰეი! ჰუი! სიკო! ქეთოო!..

ხმას არავინ აძლევდა, მხოლოდ მგლების ყმუილი, დათვის ღრენა და ქარის ზმუილი ირეოდა ერთმანეთში...

სანდალა თავის თავს-ღა მიენდო. აქ აჩქარება კი არა, აწონ-დაწონა უნდა... პატარა მარცხიც საქმეს წაახდენს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

სანდალამ მოინდომა დათვის მოკვლა, მაგრამ.. დათვს, დაუმიზნა თუ არა თოფი, თვალებიდან ცრემლი წამოსცვივდა, ისე აკნავდა, თითქო თავს აბრალებსო.

ქეთოს ჭირნახული გაეთელა.

სანდალას ანცვიფრებდა ეს მხეცი თავისი გრძნობითა და გონებით.

სანდალამ ლმობიერება გამოიჩინა და თოფი ძირს დაუშვა, არ გაიმეტა სასიკვდილოდ განწირული „ხიზანი“, მაგრამ მას რევდენ გააფთრებული მგლები: გულსაკლავად ყმუოდენ, თხრიდენ, ღრნიდენ ხის ძირს, აგერ ლამის არის გადაწვეს კიდეც ეს ხე...

დათვი ღრიალებდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ტყისკენ, ალბათ, თავისიანების მოსაშველებლად, ისე, როგორც ამას სანდალა ჩადიოდა.

ამნაირმა თავდაცვამ კვლავ გააოცა სანდალა და სეირის მაყურებლად გადაიქცა...

ამასობაში ხეც ინძრეოდა, ირხეოდა და ტოტი კინალამ მოტყდა, რომელზეც დათვი იჯდა.

სანდალასაც არ ეყარა კაი დღე: ხის ზანზარისაგან ის ქანაობდა, თავს ძლივსღა იჭერდა... აგერ ქუდიც მოსტაცა ქარმა.

— ჰე, შენი რჯულიც! — მომართა ხელმეორედ თოფი და უნდოდა კიდეც ესროლა, მაგრამ.. დახე კიდევ გაკვირვებას: დათვმა აიშვირა თავი და თათის თითები წაიდო, თითქო თავს აბრალებს და ეხვეწებაო:

— შენი ჭირიმე, ნუ მომკლავ, მიხათრე!

სანდალასაც ებრალებოდა, მაგრამ... არც თავისი თავი სძაგდა. მაინც კიდევ ლმობიერებამ სძლია და ძირს დაუშვა თოფი; მან ეხლა მოინდომა რომელიმე მგელი დაეჭრა: იცოდა კარგად, რომ დანარჩენი მგლები გამოედევნებოდენ დაჭრილს და შეიძლება დათვიც მაშინ დავიწყებოდათ, მაგრამ სანდალას იმის თავდებად ვინ დაუდგებოდა, რომ გადარჩენილი დათვი მას ყურის ჩამოთლას შეარჩენდა მერე?!

VI

თითქმის მთელი საათი იყო ამ ყოყმანში სანდალა, ყინვისაგან გაღურჯებული. შიშობდა არ დამზრალიყო ხეზე და არ ჩამოვარდნილიყო ძირს...

მან სანადირო თოფი ძლივს აიღო ხელში, ვეღარ ხმარობს...

— არც საჭიროა, — გაიფიქრა მან გუნებაში: — მგონი ჩემი „მეზობელიც“ ისე მოიქანცა, რომ... ფეხიც რომ ვკრა, ძირს ჩავარდება. მშიშარა ყოფილა ეს უბედური...

მართლაც, დათვს ხრინწიანი ხმა ამოსდიოდა და მობუზულიყო, შიშისა და სუსხისაგან შეწუხებული ცდილობდა როგორმე სანდალას გვერდით მოკალათებულიყო, დიდ ტოტზე მიმჯდარიყო...

აგერ აიბოტა კიდეც ზევითკენ, მაგრამ სანდალამ დაასწრო და თოფის ლულა მიუშვირა, მან იკადრა უკან დახევა, მერე ფეხი აუსხლტა და ღმუილით ჩამოეკიდა ტოტზე...

მგლების ხროვას ნერწყვი მოადგა პირზე. შეუდგათ ცმუკვა, განგაში, ერთმანეთს ეცილებოდენ გემრიელ ლუკმას...

სანდალამაც ვეღარ მოითმინა დათვის მდგომარეობა, თოფის კონდახი დაჰკრა ტოტს, და დათვი დავარდა მიწაზე.

ცდილობდა დიდ ტოტზე მომჯდარიყო.

— შენ გინდა მეც ჩამითრიო?! ნურას უკაცრავად!..

დიდხანს აღარ გაგრძელდა „ყურმოჭრილი დათვის“ ღრიალი: მალე დაუამდათ მშიერ მგლებს მუცლის გვრემა, მხოლოდ „სახსოვრად“ დაუტოვეს სანდალას დახეული ტყავი, რომლითაც მან კარგი ჯუბა გაიკეთა და ზამთრობითაც ხმარობდა ხოლმე.

ვანო დუშელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება კახეთის პიონერ-კოლექტივებში

კახეთის პიონერ-ორგანიზაცია 30 თემზე მეტს აერთიანებს. კოლექტივები ჩამოყალიბებულია როგორც ქალაქებში, ისე შორეულ სოფლებშიც. იშვიათია კოლექტივი, რომელსაც ამ ბოლო ხანებში რაიმე სასარგებლო საქმე არ გაეკეთებინოს. განსაკუთრებით გამოაცოცხლა კოლექტივების მუშაობა საბჭოების არჩევნების კამპანიამ და მოსავლიანობის ლაშქრობამ. ამაზე ძალიან ბევრს გეტყვიან ქვრივ, ღარიბ და წითელარმიელთა ოჯახები: პიონერებმა მათ დაუბარეს ბოსტნები, გაუწმინდეს რუები, შეძლებისდა გვარად შეუკეთეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

თელავის ყველაზე კარგ კოლექტივში ბუნებრივად ტარდებოდა მუშაობის ახალი ფორმები. ჩამოაყალიბეს სიმებიანი ორკესტრი. ბავშებს ხანდახან უნდოდათ მშრალი „ფიზაღზრდის“ ნაცვლად გართობა და სხვა ასეთები, მაგრამ ზემდგომმა ამხანაგებმა თათბირების და პლენუმების მოწვევამდე უბრძანეს ძველებურად ემუშავათ. როდესაც ბავშებს ვუამბეთ სამხედრო მუშაობაზე (სროლა, წრეები და სხვა), მათ სიხარულით თვალები გაუბრწყინდათ, აქამდე-კი ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ძალიან იშვიათად აქვს კოლექტივის კედლის გაზეთს შინაარსიანი და ლამაზი სახე, რაღაც უფერული, მიუზიდავია ეს გაზეთები.

კახეთის კოლექტივებს სჭირდებათ ნამდვილი და შინაარსიანი საქმე, რომელიც გამოაცოცხლებს მათ, სახელდობრ:

1. პიონერები უნდა დაინტერესდენ და გაეცნონ მუშაობის ახალ სისტემას, ჩამოაყალიბონ სამხედრო და ტექნიკური წრეები, მაგ. ტოპოგრაფიის და სიგნალიზაციის შესასწავლად, პირველი დახმარების, რადიოს, ჭრა-კერვის; ხელმძღვანელებად უნდა გამოიყენონ მშობლები, დემობილიზაციაქმნილი წითელარმიელები და მომზადებული პარტ-კომკავშირელები.

2. დააარსონ სასოფლო მეურნეობაში გამოსადეგი წრეები, როგორიცაა: მეაბრეშუმეობის, მებოსტნეობის, მეფუტკრეობის და სხვა. დაამუშაონ მიწის ნაკვეთები, აიღონ შეფობა ცხოველებზე (ხბოებზე, ბატკნებზე, ჩოჩრებზე) და სხვა. ყოველივე ამის ხელმძღვანელებლად გამოყენებულ უნდა იქნენ სასოფლო-სამეურნეო სკოლებში მოსწავლე კომკავშირელები.

3. უეჭველად დაიყონ კოლექტივები რგოლებად და შეადგინონ რგოლებისათვის ყოველ თვეს კალენდარული გეგმა (რაც შეიძლება მარტივი და ადვილად შესასრულებელი).

3. დააინტერესონ მშობლები კოლექტივების მუშაობით, მოაწყონ მათი კრებები, მოუწყონ გასართობი, დაასმევინონ საკითხი პიონერ-კოლექტივების დახმარებაზე პარტკომში, აღმასკომში, კოოპერატივების გამგეობებში, ერთის სიტყვით, ყველგან, სადაც კი შედიან მათი მშობლები.

5. ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მოწვეულ იქნება პიონერთა კონფერენციები და თათბირები. აქ უნდა გამოვიდენ და ილაპარაკონ გასაჭირზე და მოითხოვონ მათი დაკმაყოფილება. კოლექტივებმა წინდაწინ უნდა მისცენ დავალებანი თავის დელეგატებს თათბირზე.

6. სკოლა და კოლექტივი უნდა ავსებდენ ერთიმეორის მუშაობას, მაგრამ ამავე დროს კოლექტივი უნდა იყოს მოწინავე, ყოველი ახალი საქმის დამწყები. კახეთში ეს ასე არ არის. იქ პირიქით, კოლექტივები და პიონერები სკოლას მისდევენ უკან. ეკითხები ერთ კოლექტივს: „მოაგროვე ქაღალდი?“ „მოვაგროვებდით, მაგრამ სკოლამ ხელი შეგვიშალა, მან კონკურსი გამოაცხადა და ბევრმა პიონერმა იქ წაიღო“. განა ეს შეიძლება? მუშაობის განაწილებისა და ურთიერთდახმარების ნაცვლად ქიშპობა და ხელის შეშლა! ეს რომ აღარ მოხდეს, საჭიროა: ა) კოლექტივებმა და ფორპოსტებმა შეუთანხმონ თავისი მუშაობის გეგმა სკოლის გეგმას, ბ) გამოცოცხლდენ, გამოფხიზლდენ პიონერები და თავისი მაგალითით, ენერგიული მუშაობით უჩვენონ არაპიონერ ბავშებს ორგანიზაციის მნიშვნელობა, გ) შეიტანონ სკოლის მუშაობაში თავისი გამოცდილება.

მ. ელიჯარაშვილი

დღევანდელი სოფელი

ისევ მიტაცებ, ჩემო სოფელო,
აყვავებულო ვაზით, მდელოთი.
გიმღერ, იმედის გულში მთოველო
თანამედროვე საქართველოთი.

შენი დუმილი აღარ მინდება,
ვიგრძენი შენი ძალა, მხნეობა,
ვიცი, რომ მალე აღორძინდება
კოლექტიური მეურნეობა.

შენი მინდვრები, შენი ჭალები
გადახნულია ტრაქტორის მიერ.
შორით მოჩანან ხევ-ნაპრალები,
მზე მხურვალეა ყოველწამიერ.

აგერ შხუილით მიდის მდინარე,
მიყვინთაობენ წყალში იხვები.
მშვენიერება თვალთა წინ არი,
ვუცქერ წისქვილებს, ზარებს მივყვები.

აგერ, ბეტონის ხიდი შენდება,
შენდება კიდევ კოოპერატივი.
სოფელში შრომის დილა თენდება,
მდინარის ნაპირს შორდება ტივი.

აგერ, ახალი ქოხ-სამკითხველო,
აგროპუნქტი და გლეხური სკოლა.
ამწვანებულხარ, მინდორო, ველო,
შენი სივრცენი რომ შეიმოლა.

შენი დიდება გულში ჩავკირე,
მოხიბლული ვარ შენი ოდებით.
ვიცი, მებრძოლი მოჯამაგირე
კულაკებს ებრძვის თავგამოდებით.

ისევ მიტაცებ, ჩემო სოფელო,
აყვავებულო ვაზით, მდელოთი.
გიმღერ, იმედის გულში მთოველო
თანამედროვე საქართველოთი.

ვარლამ ჟურული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი ცოცხალი საქმე"

დ. ამბროლაურის ნ/პ საქმიანობა

(რაჭა-ლეჩხუმის მაზრა)

დღეს დიდი ყურადღება ექცევა ნ. პიონერთა ორგანიზაციებს. საკ. კომკავშირის მე-8 ყრილობამ პიონერ-კოლექტივების საქმეს განსაკუთრებული ხაზი გაუსვა, მაგრამ ზოგიერთ დაბა-სოფელში ვერაა პიონერ-კოლექტივების საქმე კარგად დაყენებული.

ამბროლაურის რაიონში რამდენიმე ასი პიონერია, მაგრამ ამათში ბევრია კულაკის შვილი. ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. განსაკუთრებულ ადგილს იჭერს რაიონის მაშტაბით მუშაობაში სოფ. კრიხის ნ. პიონერთა ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ამავე სოფლის კომკავშირის უჯრედი. პირველად ნ. პიონერთა ორგანიზაცია მატერიალურად სუსტი იყო, მაგრამ კომკავშირის ხელმძღვანელობით ჩატარდა წარმოდგენები, და შემოსული თანხით იყიდეს დოლი და დროშა.

თვით ს. ამბროლაურის კოლექტივის მუშაობა სუსტია. მოაწყეს ექსკურსია ს. ბუგეულში. ხელმძღვანელი დათვრა და პიონერები ღამე ქუჩებს მოედვენ უპატრონოდ. გამოდის კედლის გაზეთი, მაგრამ ყოველმხრივ სუსტია, რის მიზეზიც უხელმძღვანელობაა.

კოლექტივებში საერთოდ არადამაკმაყოფილებელია წრეებში მუშაობა. მთელ რაიონში ძლიერ მოიკოჭლებს ჟურნალი **„პიონერის"** და **„ოქტომბრელის"** გავრცელების საკითხი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება მომავალში.

კოლექტივებმა რამდენიმეჯერ მოაწყეს შაბათობა, გაასუფთავეს სკოლის ეზოები, ეხმარებიან ღარიბ ოჯახებს.

პიონერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ დღესასწაულების და კამპანიების ჩატარებაში.

ასეთია, მოკლედ, ჩვენ რაიონში ნ. პიონერთა კოლექტივების მუშაობა. ზემოაღნიშნულ ნაკლს შესაფერი ყურადღება უნდა მიექცეს. ყოვლად გაუმართლებელია კულაკის და ბობოლა გლეხის შვილების ყოფნა კოლექტივში.

საჭიროა, რომ მაზრკომმა შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიოს დ. ამბროლაურის ნორჩ პიონერთა კოლექტივებს.

აკაკი სხვაველი.

დავაარსეთ ცოცხალი გაზეთი.

პირველად სიღნაღის კოლექტივები ყურადღებას არ აქცევდენ ცოცხალი გაზეთის დაარსებას, მაგრამ ამას დროზე მიაქცია ყურადღება ამხ. ს. ჯუღელის სახელობის სიღნაღის კოლექტივის საბჭომ და ჩამოაყალიბა ცოცხალი გაზეთის წრე, რომლის ხელმძღვანელია ამხ. ა. ქევხიევი. წრემ მუშაობა დაიწყო და დადგა წარმოდგენები საექსკურსიო თანხის შესაგროვებლად. ჯერჯერობით გაზეთის საქმიანობა მოისუსტებს, მაგრამ იმედია ხელმძღვანელისა და პიონერების დახმარებით გამოსწორდება ეს ნაკლი და წრეს მართლაც ცოცხალი გაზეთის სახე მიეცემა.

პიკორი გიორგი ლეჟნიევი.

როგორ მუშაობს ჩვენი ნ/პ კოლექტივი

ორი სამი თვე იქნება მას შემდეგ, რაც ქ. ზესტაფონის სასოფ.-სამეურნეო სკოლასთან არსებულმა ა. ლ. კ. კ. უჯრედმა ჩამოაყალიბა ზედა-საქარის ოთხწლედთან ნ/პ კოლექტივი. დაარსებიდან ორი კვირის შემდეგ ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციამ გამოჰყო მომზადებული ამხანაგი, რომელმაც ძალიან კარგად დააყენა ამ კოლექტივის საქმე. სასოფ.-სამეურნეო სკოლის პედაგოგიური პერსონალი დაეხმარა ამ კოლექტივს ფულით, დაეხმარა სოფ. ზედა-საქარის ოთხწლედის მასწავლებლობაც, რითაც კოლექტივმა შეიძინა დოლი, დროშა და სხვა საჭირო ნივთები.

კოლექტივის ვარჯიში სისტემატიურად წარმოებს. ამ თვეში ჩატარებული არის ნ/პ კოლექტივის მიერ ორი უფასო საღამო და ერთიც ამ ცოტა ხანში მოეწყობა. სას.-სამ. სკოლასთან არსებულ ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციას, რომლის მეოხებითაც ჩამოყალიბდა ეს კოლექტივი, სურს მოაწყოს ერთი ფასიანი საღამო ამ კოლექტივში შემავალ ღარიბ პიონერთა სასარგებლოდ. ამ კოლექტივში დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ლიტერატურის გავრცელებას, გამოწერილი აქვთ **„ახალი სოფელი"**, **„ახალგაზრდა კომუნისტი"**, ჟურნალი **„პიონერი"**, **„ოქტომბრელი"** და სხვა.

ამ ცოტა ხნის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა ჩვენმა ნ/პ კოლექტივმა, რაც გლეხობაში დიდ სიხარულს იწვევს.

კონსტანტინე სამხარაძე.

პირველი რგოლი არ მუშაობს

(ს. ქარელი, გორის მაზრა).

თვე-ნახევარია, რაც ქარელის ნ/პ კოლექტივში ავირჩიეთ ახალი საბჭო, რის შემდეგაც კოლექტივი დანაწილდა ექვს რგოლად. პირველ რგოლზე იქნა მიმაგრებული ამხ. ძიშა ქვრივიშვილი, მაგრამ ამ რგოლს თვე-ნახევრის განმავლობაში არცერთხელ არ ჩაუტარებია მეცადინეობა, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ამ მოვლენას კოლექტივის ხელმძღვანელი სრულიად არ აქცევს ყურადღებას.

იმედია, ქარელის ნორჩ პიონერთა თემბიურო მიაქცევს ყურადღებას ხსენებულ კოლექტივს და მიიღებს სათანადო ზომებს მის გამოსასწორებლად. ორი თვეა, რაც ჩვენს კოლექტივში ჩამოყალიბდა საკლუბო კომისია და სანიტარული კომისია; თუ გადავხედავთ ამათ მუშაობას, საიმედო სურათს ვერ დავინახავთ. არ იწვევა სისტემატიურად კრებები, არა ჰყავთ გამოყოფილი ხელმძღვანელები და სხვა. ყველა აქ ჩამოთვლილ ნაკლს, იმედია, მიაქცევს ნ. პ. საბჭო ყურადღებას, კოლექტივის საშუალებით გადაახალისებს ამ კომისიებს და მასში აირჩევს უფრო აქტიურ ამხანაგებს, რომ ხსენებულმა კომისიებმა უფრო გაჯანსაღებული მუშაობა აწარმოონ.

პირში მთქმელი.

საზაფხულო მუშაობის მთავარი ამოცანები

საზაფხულო მუშაობის მნიშვნელობა ჯერ კიდევ ბევრ პიონერს არა აქვს კარგად შეგნებული. გასულ წელს, როდესაც საზაფხულო მუშაობას ვატარებდით, ბევრი პიონერ-კოლექტივი ამას გულგრილად შეხვდა. ზაფხულშა ჩვენ შეგვიძლია საზამთრო მუშაობისაგან განსხვავებული სამუშაოს შესრულება, და ამოცანებიც სულ სხვაგვარია.

საზაფხულო მუშაობის მთავარი ამოცანა უნდა იყოს საზაფხულო მუშაობის საკითხების დამუშავება პიონერ კოლექტივებში. ყოველმა პიონერმა უნდა იცოდეს, თუ რაა მისი მოვალეობა, რა უნდა გააკეთოს მან ზაფხულში. კოლექტივმა უნდა შეადგინოს ზაფხულისთვის სამუშაო გეგმა და ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა.

მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ საზაფხულო მუშაობაზე გადავდივართ. საზაფხულო მუშაობა ფართედ უნდა გამოვიყენოთ პიონერთა გაჯანსაღებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ შემოდგომაზე და ზამთრის პერიოდში მუშაობა გვიხდება დახურულ ოთახში, სადაც ხშირად უსუფთაობაც კი არის; ამ პირობებში ილახება პიონერის ჯანმრთელობა.

არცერთმა კოლექტივმა ზაფხულში ოთახში არ უნდა აწარმოოს მუშაობა და საჭიროა მოეწყოს პიონერ-მოედნები. ამისათვის შეერთდება რამდენიმე კოლექტივი.

ზაფხულში შესაძლებელია შეკავშირებულ ბავშვებს შორის მუშაობის გაჩაღება. ჩვენ ყოველთვის გავიძახით, მუშაობა უნდა ვაწარმოოთ შეუკავშირებელ ბავშთა შორისო, მაგრამ აქ არაფერი არ კეთდება. განა ცოტა არიან ისეთი ბავშვები, რომლებიც პიონერ-ორგანიზაციაში არ არიან? საჭიროა მათი ჩაბმა ორგანიზაციაში, კოლექტივის ირგვლივ დარაზმვა. ამისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ საზაფხულო მოედნები.

პიონერებს ზაფხულში უფრო მეტი დრო აქვთ, და ეს დრო უნდა მოანდომონ შეუკავშირებელ ბავშთა შორის მუშაობას.

კოლექტივიში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის გაღრმავება ძალზე სუსტადაა დაყენებული. აბა რის პიონერია, რომელმაც არ იცის რა არის რემედასი, არ იცნობს კომკავშირის მუშაობას, არ იცის, თუ რას აკეთებს სოფლის საბჭო და სხვა! ასეთი პიონერები არაფერში არ გამოგვადგებიან და ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

თუ ზამთარში შეუძლებელია საშეფო სოფელში წასვლა ქალაქიდან, ზაფხულში ეს შესაძლებელია.

ზაფხულში უნდა მოეწყოს ექსკურსიები.

ექსკურსიებს უნდა ახასიათებდეს გეგმიანობა, წინასწარ უნდა იყო გამოყოფილი მისი მომწყობი კომისია, რომელიც გამოიკვლევს, თუ რა უნდა იქნას დათვალიერებული, შესწავლილი. ექსკურსიებზე გამოკვლეული საკითხები უხდა ჩაიწეროს დღიურებში, უნდა გაჩაღდეს კოლექტივებში შინა-აღმზრდელობითი მუშაობა. სისტემატიურად უნდა მიმდინარეობდეს რგოლებსა და წრეებში მუშაობა.

კედლის გაზეთი უნდა აშუქებდეს მიმდინარე საზაფხულო მუშაობის უარყოფით და დადებით მხარეებს.

დღიურები უნდა ივსებოდეს სულ ახალ-ახალი მასალით, რომელიც პიონერების თვითმოქმედებასა და შემოქმედებას უნდა გამოხატავდეს.

ასეთია საზაფხულო მუშაობის მთავარი ამოცანები.

პავლე გუნიავა.

მადლობის ღირსია ასეთი კომკავშირელი

ქ. სურამის ნ/პ ორგანიზაციაში ჩამოყალიბებულია რადიომოყვარულთა წრე, რომლის ხელმძღვანელია გ. ძაგნიძე. ეს ამხანაგი კომკავშირელია და თავის აქტივობას იჩენს ნორჩ პიონერთა ორგანიზაციაში. ამ ამხანაგს ორი თვის წინად ჩამოყალიბებული ჰქონდა ხატვის წრე, რომელშიც პიონერები იყვნენ ჩაბმული და შეისწავლეს ხატვა. რადიომოყვარულთა წრეში პიონერების უმრავლესობაა ჩაბმული. მეცადინეობა გვაქვს კვირაში ორჯერ. პიონერები ამ წრეს ძალიან კარგად უყურებენ და წესიერად დადიან მეცადინეობაზე. გ. ძაგნიძე უხსნის პიონერებს რადიოს მოწყობას და მნიშვნელობას

მადლობის ღირსია ასეთი აქტიური კომკავშირელი.

პიონერი **ა. დავითიანცი.**

ვაგროვებთ ლითონის ნამტვრევებს

ერთი თვეა, რაც ქ. სიღნაღის პიონერ-ორგანიზაცია შეუდგა ლითონის ნატეხების შეკრებას. კოლექტივებში წინასწარ ჩატარდა საუბრები ლითონის ნატეხების შეკრების აუცილებლობაზე, შემდეგ გამოყოფილ იქნა კომისია თითოეულ კოლექტივში ცალკ-ცალკე, რომლებმაც ხელმძღვანელობა გაუწიეს ნატეხების შეკრებას. ამ ამბავმა პიონერები გაახალისა და მოჰქონდათ და ეხლაც მოაქვთ ნატეხები სახლებიდან.

კოლექტივში ლითონის ნატეხების წარმატებით შეკრებისათვის რგოლების კონკურსი დაინიშნა. შედეგი კარგი იყო. პიონერები დაინტერესებული იყვნენ კონკურსით. ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ სიღნაღი სამრეწველო ქალაქი არ არის, ამიტომ ლითონი ცოტა მოიპოვება, მაგრამ ამ ორმა კოლექტივმა შესაფერი როლი ითამაშა ლითონის ნამტვრევების შეკრებაში.

ვ. პიკორიძე.

ჩვენი კოლექტივის მუშაობა

ქ. ცაგერი. რაჭა-ლეჩხუმის მაზრა.

ქ. ცაგერის ათწლედთან არსებულ ნ. პ. კოლექტივის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. კოლექტივში 26 ოქტომბრელი და 72 პიონერია.

კოლექტივში არიან შეგირდ-მოჯამაგირეები, რომლებმაც წერა-კითხვა არ იცოდენ, მაგრამ ეხლა თამამად შეუძლიათ გაზეთის კითხვა. კოლექტივი იყოფა 7 რგოლად; 2 უფროსი რგოლია, 3 საშვალო და 2 უმცროსი. ჩვენს კოლექტივშიც შეცდომით ჩამოყალიბებული იყო წრეები, მაგრამ ესენი მალე გავაუქმეთ და მათი სამუშაო ნ. პიონერთა საბჭოს დაატყდა თავზე. უნდა ითქვას, რომ ეს კოლექტივი დიდ მონაწილეობას იღებს ყოველგვარ კამპანიაში პარტიასა და კომკავშირთან ხელი-ხელ ჩაკიდებული. ამ მოკლე ხანში ჩავატარეთ 7 წარმოდგენა, ერთი ფასიანი იყო და სხვა უფასო. მოგვდის ჩვენი ჟურნალები: „ოქტომბრელი“ და “პიონერი“.

კოლექტივში გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი „პიონერთა საყვირი“. ფიზაღზრდა არ დგას თავის დონეზე, რაიც ზემდგომი ორგანოების უყურადღებობას უნდა მიეწეროს; იმართება მოძრავი თამაშობანი, რაც დიდად ახალისებს ბავშვებს. ჩვენს კოლექტივს მიზნად ჰქონდა სამუდამო ოთახის პოვნა, სადაც მოეწყობოდა „წითელი კუთხე“; ოთახის შესახებ კატეგორიულად მივმართეთ თემბიუროს თავმჯდომარეს, მაგრამ მას ყურადღებაც არ მიუქცევია. თუ კი ცოტა დახმარებას გაგვიწევენ ზემდგომი ორგანოები, ჩვენ შევძლებთ უფრო სწორი გზით სვლას; მომავლისათვის ჩვენი კოლექტივი მიზნად ისახავს საზაფხულო ბანაკად გასვლას ისეთ ადგილას, სადაც საშვალება გვექნება დახმარება გავუწიოთ წერა-კითხვის უცოდინარ გლეხობას.

გ. ტველიდიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყის შვენება

— ჰო, მაშ, ახლა შენი ჯერია, — უთხრა ლეომ ტატოს, კვირადღეს ექსკურსიაზე რომ წავიდენ ქალაქ გარეთ და ჩამოსხდენ მთის ამწვანებულ ფერდობზე... ათიოდ პიონერ ბავშს პირობა ჰქონდა დადებული, რომ მორიგეობით ეამბნათ ერთმანეთისთვის, რაც იცოდენ. დღევანდელი ექსკურსიაც არ უნდოდათ უშედეგოდ ჩაეტარებინათ; ტატო მათში უფრო დაფიქრებული იყო და მეტის მცოდნე, ამიტომ ამხანაგები მოუთმენლად ელოდენ დაწყებას...

მზე ლურჯი ტატნობიდან საამოდ აფრქვევდა სხივთა წითელ მძივებს, სიო ნელი სისინით აბიბინებდა ბალახს, და წითელი ყაყაჩოები ირხევდენ ყურებს...

— აბა, რა გიამბოთ ისეთი, რომ... მაგრამ, იცით, ამხანაგებო, ახლა მაინც ტყის კამპანიები ტარდება და მოდი ამის შესახებ ვიტყვი, ჰა? თანახმა ხართ? — წარმოსთქვა ტატომ.

— კარგი, ეგ სჯობია. დაიწყე, — მიუგეს აქეთ-იქიდან, და ტატომაც დაიწყო:

— ამხანაგებო, ყველამ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყანა აღმშენებლობის გზაზეა დამდგარი და ახლა დიდი ყურადღება ექცევა ტყის დაცვას, მოვლასა და მოშენებას... აი, როცა ამ ზაფხულს მოვედებით სოფლებს, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს და განვუმარტოთ ხოლმე გლეხობას... — განაგრძობდა ტატო... — ჰო და, როგორც გითხარით, იმ ქვეყანაში, რომელიც უდაბნოს ემსგავსება, მცხოვრებლები თუ სულ არ გასწყდენ, გადაშენების გზაზე მაინც არიან დამდგარი; ეს უტყეობის ბრალიცაა; ამიტომ ხალხი ასეთ ადგილებზე დასახლებას გაურბის, იქიდან იყრება, ეძებს ტყიან, მდინარიან ადგილს დასასახლებლად...

ხშირად ყოფილა მაგალითი, რომ უტყეო ადგილებში მცხოვრებლები ამომწყდარან, რადგანაც, სადაც ტყე არ არის, იქ არც წყალია, უწყლოდ სიცოცხლე კი არ შეიძლება.

აფრიკის და სხვა გაუდაბნოებული ქვეყნების უსაზღვრო ქვიშნარ უდაბნოებზე, რომლებზეც, ალბათ, ოდესღაც მშვენიერი ტყე იყო, რასაც ამტკიცებს იმავე ქვეყნების ტყიანი ადგილები, თვეობით მიიზლაზნებიან ხოლმე აქლემთა ქარავნები. სასმელ წყალს ვერსად შოულობენ და, თუ წააწყდებიან სადმე, იქ უთუოდ რამდენიმე ხე მაინც იქნება და სანატრელი წყაროც... ამ ადგილებს ოაზისს, წალკოტს ეძახიან; და განა ასეთ გახრიოკებულ ადგილებში ეს მართლაც წალკოტი არაა?!

— რასაკვირველია — დაეთანხმენ აქეთ-იქიდან.

— ეს ხომ მოგვაგონებს მელოტ კაცს, რომელსაც აქა-იქ კიდევ შერჩენია თმის ბუსუსი და ხან საიდან წაიფარებს საკარცხლით ტიტველ თავზე და ხან საიდან, რა არის ლამაზი გამოვჩნდეო; ასევე სათუთად უვლიან მოგზაურნი ოაზისებს, ასევე უნდა მოვუაროთ ჩვენი ქვეყნის აქოჩრილ თმას — ტყეებს.

ხომ იცით, უტყეო ადგილებში აუტანელი სიცივეები იცის ზამთრობით, ზაფხულობით კი საშინელი სიცხეები; იტრუსება ყველაფერი. ქარს, გრიგალად ქცეულს, ველარაფერი იჭერს, რომელიც, თუ ისტორიას გადავხედავთ, მრავალ ქალაქსა და სოფელს ანგრევს, მიწის ქვეშ მარხავს; ასეთ გრიგალებს უცხო ენებზე ეძახიან სამუმს, ციკლონს და სხვა... ისინი ხეებს ძირ-ფესვიანად აგდებენ, შენობებს ლეწენ, ადამიანებს, პირუტყვებს იტაცებენ, სიკვდილი და განადგურება მოაქვთ... ასეთ ადგილებში ხშირად იცის ჭექა-ქუხილი და ქარიშხლიანი კოკისპირული წვიმები, სეტყვა, ყველაფრის გამანადგურებელი ნიაღვრები, მუდმივი საფრთხე, კაცობრიობის მტერი — მრავალგვარი ავადმყოფობა...

ტყე ისევეა საჭირო, როგორც ჰაერი, წყალი, პური; იგი თავის წიაღში სიცოცხლის მრავალ მასაზრდოვებელ ნივთიერებას ინახავს, რომელიც ანოყიერებს ნიადაგს, ჰაერს და თავისი ჯანსაღი ჰავით მუდამ სანუკვარი და მიმზიდველია...

— აკი ავადმყოფებს განსაკურნებლად უფრო ტყიან აგარაკებზე გზავნიან ხოლმე... — ჩაერია შალიკო.

— ჰო და, ტყეები კი, როგორც ფარდა, იფარავენ მოსახლეობას როგორც ასეთი ქარებისაგან, ისე ნამქერებისაგან, თოვლის ზვავებისაგან, ნიაღვრებისაგან, რომლებიც ხშირია უტყეო ადგილებში; ტყე უხვად ისრუტავს თავის ნიადაგში წვიმას, გამდნარ თოვლს და რთველს, ნამს, შემდეგ კი ყოველივე ეს წყლად იჟონება, წყაროებად, მოჩუხჩუხე ნაკადულებად, რომლებიც ეშვებიან დაბლა, რწყავენ ვენახებს, ბოსტნებს, ნაფუზარ-ხოდაბუნებს, ხევებში მდინარეებად იქცევიან და აქაფებულნი მიექანებიან ზღვის მკერდის შესანგრევად...

ტყე იძლევა მრავალ ხილეულს... ვინ იცის, რამდენი პოეტი აუმღერებია ტყის სილამაზეს, და პოეზიას ფრთა გაუშლია; ტყეევეა საალმშენებლო და სათბობი მასალა.

აბა სამხედრო მიზნითაც მივუდგეთ ტყეს... ამასწინათ ძმასთან ვიყავი ყაზარმაში და შემთხვევით დავესწარი მათი მეთაურის საუბარს ტყის შესახებ... დიდი მნიშვნელობა ჰქონია სამხედრო მოქმედების დროს ტყეს: ის საუკეთესო ფარდაა ჯარისთვის, იფარავს მას მტრისაგან, არტილერიის ცეცხლისაგან, თვალთვალისაგან, აეროპლანისაგან და სხვა... საომარი გაზებისაგან უზრუნველსაყოფადაც მომავალ ომებში საუკეთესო იქნება ტყე; ამის გარდა ტყე კიდევ იმ უპირატესობას გვაძლევს, რომ მტერი ვერ შეგვამჩნევს, ყოველმხრივ შენიღბული ვიქნებით, მას კი დავინახავთ.

უფრო მოწინავე ქვეყნებში თვით ხალხი ზრუნავს ტყეებზე, რადგან შეგნებული აქვს მისი მნიშვნელობა; წინად კი, ვიდრე ამას შეიგნებდენ, ჩვენი ხალხივით არ ზოგავდენ, სჩეხდენ... ბევრგან იქაც დაატყდათ უტყეობით დიდი გასაჭირი...

ტყეების გაკაფვა იწვევს მდინარეთა დაშრობას და ასეთი მაგალითი მრავალია... ერთხელ, როგორც გადმოცემა ამბობს, მდინარე სენა (პარიზში ჩამოდის)

დამშრალა, და პარიზს უწყლობით ამოწყვეტას უქადდა, მაგრამ დროზე მიუქცევიათ ყურადღება და შეუჩერებიათ დარჩენილი ტყეების კაფვა და ახლებიც კი გაუშენებიათ თურმე. ჩვენც არამც თუ ბუნებრივი ტყით უნდა დავკმაყოფილდეთ, ხელოვნურადაც უნდა გავაშენოთ იქ, სადაც არაა; თუ როგორ უნდა გავაშენოთ, ამისათვის წიგნებია გამოცემული. მთავრობა ძალიან ზრუნავს ამის შესახებ და ინსტრუქტორებს, მცოდნე ხალხს გზავნის ყველგან...

ბოლო დროს ისე დაუდევრად იკაფება ტყეები, რომ უფსკრულთან მიგვიყვანს, თუ დროზე არ მივიღეთ ზომები ამის საწინააღმდეგოდ...

ბევრგან, ტყიების გაჩეხვის გამო, მდინარეები უკვე დაშრა და მოსახლეობა მრავალგვარმა სენმა შეიპყრო (მაგ. ციებ-ცხელება და სხვა...), ჩამოხმა, გადაგვარების გზაზე დგება; დანარჩენ მხარეებსაც ასევე მოელის, თუ დროზე არ მივეშველეთ...

აი, ამ მოტვლეპილ, გადატრუსულ მთებს რომ უყურებთ, რომლითაც უხვია ზოგიერთი მხ რე



ამხ. ფ. მახარაძის სახელობის ნორჩ პიონერთა კოლექტივი.

აგერ ჩვენი დედაქალაქის გარშემო ხომ უკვე კარგა ხანია დაიწყეს ტყის გაშენება, შეხედეთ... მაგრამ მთავრობა უძლური იქნება ამ საქმეში, თუ თვით ხალხი — გლეხობა — არ დაეხმარა; და ჩვენ, როგორც წელან გითხარით, უნდა ვეცადოთ ეს ავუხსნათ მათ...

ჩვენ უნდა ვერიდოთ ახალი, ნორჩი ხეების მოჭრას, ბებერი, ძველი ხეებით უნდა დავკმაყოფილდეთ სათბობი მასალისათვის, რომელთა მაგიერ ახლებს დავრგავთ; საალმშენებლო მასალად ხეების მოჭრა წესიერად, ნორმალურად უნდა: დღეს რომ ერთ განსაზღვრულ უბანზე მოვჭრით, ახლა სხვაგან შემოვფარგლავთ ასეთს, და მოჭრილის მაგიერ კი დაიწყება ახლის გაშენება...

კერძოდ ჩვენი ქვეყანა, საქართველო, ტყით მუდამ მდიდრად ითვლებოდა და ითვლება ეხლაც, რის გამოც მას ლამაზ ქვეყანას ეძახიან, მაგრამ ამ ჩვენი ქვეყნისა, უწინ ტყეებით ყოფილა შემოსილი და ეხლა კი გზაჯვარედინებზე ყაჩაღების მიერ გაძარცულ მგზავრებივით გამოიყურებიან ტიტველნი, დარცხვენილნი, რომელნიც ელიან შემოსვას... მაშ ნუ დავაყოვნებთ ამას, ჩავაცვათ ამ ადგილებს მათი საყვარელი მწვანე ხავერდის ტანსაცმელი.

დეე, ტყეებით ქოჩორავარცხნილი ჩვენი მთები ბარს უგალობდეს საოცნებო სიმღერას:

— ცად ატყორცნილი ქედები
გუშაგად ვუდგევართ ბარს;
როგორც მზრუნველი დედები,
ვუწყებთ ნეტარ საუბარს.

ხარობს შვენებით ბუნება,
ჩვენით სიყვარულს ანთებს;
სიცოცხლე ესალბუნება,
სადაც ჩვენ ვიბერტყთ კალთებს...

დაათავა ტატომ და ამხანაგებმაც მოწონებით ტაში დაუკრეს; ყველამ მარჯვენა ხელი მაღლა აიღო და ერთხმად შესძახეს:

— მზად ვართ ტყის დაცვად!..

სეზმან ერთაწმინდელი

ანტარკტიკაში

ვინც თვალყურს ადევნებს ჟურნალ-გაზეთებს, ყველამ იცის, რომ ამჟამად სამხრეთ პოლუსთან მუშაობს ამერიკელი ბერდის დიდი ექსპედიცია და ძალიან ბევრ საინტერესო რამეს იკვლევს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ექსპედიცია ძალიან კარგად არის მოწყობილი, ანტარკტიკაში მუშაობა მაინც დიდ საფრთხეს წარმოადგენს ადამიანისათვის. თებერვალში ბერდმა დამხმარე ხომალდი „ელეონორა ბოლინგ“ ყინულის ორ კედელს შორის დატოვებულ ვიწრო გასავალში შეიყვანა, რადგან უფრო ადვილად შეეძლოთ მთავარ ბაზაზე აქედან სურსათის გადატანა, მაგრამ უცბად გაისმა საშინელი გრიალი და გემები ისე გადაწვა გვერდზე, რომ გადარჩენის იმედი აღარავის ჰქონდა — ეს ყინულის მთას მოტყდა უზარმაზარი ყინულები და ისეთი ძალით ჩავარდა ზღვაში, რომ კინაღამ დაიღუპა გემები. ექსპედიციის ერთი წევრი ნაპრალზე იყო ყინულის მთიდან გადმოკიდებული და ცდილობდა გაყინულ ბაწარს აჰყოლოდა ზევით, ერთი მეზღვაური, რომელმაც ცურვა არ იცოდა, იხრჩობოდა და მისაშველებლად გადახტა თვითონ ბერდი, მაგრამ აბობოქრებულმა ტალღებმა არ მიუშვა იქამდე. ბოლოს ნავით გადაარჩინეს ორივე.

აეროპლანებით ფრენაც ძლიერ ძნელი აღმოჩნდა, ვინაიდან ხშირად ისეთი ნისლია, რომ თვალით არ ფერი ჩანს. მიუხედავად ამისა, ბერდმა აეროპლანით ბევრი ახალი მიწა აღმოაჩინა.

9 მარტს ბერდის ექსპედიციის გეოლოგი გულდი გაფრინდა აღმოჩენილი მთების გამოსაკვლევად, მშვიდობით მიაღწია და დაიწყო მუშაობა; ბაზასთან მას მუდმივი რადიოკავშირი ჰქონდა. ბერდმა შეატყობინა, ფრთხილად იყავით, თოვლის ბუქი ახლოვდებაო. როდესაც გულდმა დაასრულა მუშაობა და აპირებდა უკან გამობრუნებას, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, რომელიც საათში 180 კილომეტრის სისწრაფით მოდიოდა, და ბაწრებით ყინულზე დაბმული აეროპლანი დაამტვრია. რადიოაპარატიც ისე დაზიანდა, რომ შეკეთება ვერ შესძლეს. ბერდს მთელი კვირის განმავლობაში არ მოსვლია არავითარი ცნობა და იგრძნო, რომ რაღაც უბედურება შეემთხვა გულდს. მან, მიუხედავად საშინელი ამინდისა, აეროპლანით მონახა გულდის ჯგუფი, თვითონაც იქ დარჩა და ავიატორები კი მთავარ ბაზაზე გაბრუნდენ, რომ გამოგზავნონ ძაღლებით ესკიმოსები ამ ჯგუფის წასაყვანად. 22 მარტს უკვე გაემგზავრენ საშველად ძაღლებით და ვნახოთ, შესძლებენ თუ არა იქამდე მიღწევას: ამ დროს იცის ანტარკტიკაში განუწყვეტელი ქარიშხალი (სწორედ ამ დროს დაიღუპა კაპიტან სკოტის ექსპედიცია). ბერდის ჯგუფის ერთადერთი ნუგეშია რადიო, რომელიც პირველად ამუშავდა ამ ყინულის სამეფოში. ბერდი ცნობებს აწვდის ნიუ-იორკის ერთ გაზეთს, რომელიც 17 გაზეთს აწვდის ამავე ცნობებს ამერიკაში, ავსტრალიაში და ევროპაში, ისინი კი 60 სხვა გაზეთს აცნობებენ, ასე რომ ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში 50 მილიონი ადამიანი მაინც კითხულობს ამ ცნობებს. როდესაც ანტარკტიკიდან რადიომოხელეს ჯერ კიდევ არ აქვს მთელი ცნობის გადაცემა დასრულებული და მის ბოლოს გადასცემს, ამ დროს ამერიკისა და ევროპის გაზეთების სტამბებში უკვე აწყობენ ამ ცნობების პირველ ნაწილს! წინათ პოლუსებიდან ცნობებს იღებდენ რამდენიმე თვის, ხან რამდენიმე წლის შემდეგ, ახლა კი, როგორც ხედავთ, სამხრეთ პოლუსთან რადიოაპარატი მუშაობს და იმავე დროს ამერიკაში სტამბა აწყობს ამ აპარატის ნათქვამს.

მეტად საინტერესოა შემდეგი შემთხვევა, რომელიც მშვენივრად გვიჩვენებს, როგორ გაიმარჯვა ადამიანმა, როგორ დასძლია მან დრო და სივრცე: ბერდის რადიოგრამების მისაღებად რადიომიმღები დადგმულია გაზეთის რედაქციაშიც და რადიომოხელის ბინაზეც, ვინაიდან მის ბინაზე ხანდახან უკეთ ისმის გადმოცემა. ერთხელ რადიომოხელე თავის ბინაზე იყო, რედაქციას კი ის სასწრაფოდ დაჭირდა. ურეკეს ტელეფონით, მაგრამ ვერ გააგონეს, ვინაიდან ტელეფონის მილი მოხსნილი ყოფილიყო. ვინაიდან ძალიან **ეჩქარებოდა** რედაქციას, მან ნიუ-იორკიდან რადიოთი შეატყობინა ბერდს სამხრეთ პოლუსზე, რადიოთი გამოუძახეთ ჩვენი რადიომოხელე ნიუ-იორკიდან და სთხოვეთ ახლავე მოვიდეს რედაქციაშიო. ორი წამის შემდეგ რედაქციაში გაისმა ტელეფონის ზარის ხმა და რადიომოხელემ უთხრა რედაქციას: „ბერდმა გადმომცა რადიოთი, რომ თქვენთან მოვდე...“

ასე გაიმარჯვა ადამიანმა, ასე გადალახა მან დრო და სივრცე.

პირდაპირ წარმოუდგენილია, რა საშინელია როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ პოლუსი, ეს მართლაც და „ყინულის სამეფო“. აქ იმდენი ყინულის მთაა, იმდენი საშინელი „აისბერგი“ დაცურავს ზღვაში, რომ ამ ყი-

ნულს შეუძლია 40 მეტრის სიმაღლეზე დაფაროს მთელი ევროპა. ხშირად მოდის ე. წ. ციკლონები პოლუსებიდან, საერთოდ, პოლუსები დიდ გავლენას ახდენს ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხის ჰავაზე.

ადამიანმა უკვე მიაღწია ჩრდილო და სამხრეთ პოლუსამდე, ის გაიგებს მის ყოველ საიდუმლოებას. პოლუსების აუარებელი ყინულის გამოყენების პროექტიც შეადგინა ამერიკელმა მეტეოროლოგმა ბრაუნმა. მისი აზრით, შესაძლოა ხელოვნურად შევცვალოთ ზაფხულში არკტიკის (ჩრ. პოლ.) და ანტარკტიკის (სამხ. პოლ.) ყინულების მეოხებით ჰავა ზოგიერთ ქვეყნებში. მაგალითად, ევროპასა და ამერიკაში ზაფხულზე, მისი აზრით, შესაძლოა ისეთი სიცხე არ იყოს, როგორც იცის ახლა. ამისათვის საკმაო იქნება, რომ ატლანტიკურ ოკეანეში ზაფხულზე მეტი აისბერგი (ყინულის მთა) ცურავდეს. ეს აისბერგები ოკეანის დინებას მიაქვს არკტიკიდან სამხრეთით. სამხრეთ ნახევარსფეროში (ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა და სამხრეთ ამერიკა) ზაფხული უფრო გრილი იქნება, თუ ანტარკტიკიდან მეტ ყინულის მთებსა და გორებს გავუშვებთ ღია ზღვაში, ეს კი მოსახერხებელია: გემებზე დადგმული დიდი ზარბაზნები უნდა ვესროლოთ ყინულის მთებს, დავამტვრიოთ ის, და მაშინ დინება წამოიღებს მათ, რითაც შეიცვლება ზაფხულობით ჰავა: ზაფხული უფრო გრილი იქნება.

ფლორიდინის ქარხანა ქუთაისში.

ქუთაისში მალე დასრულდება ფლორიდინის საცდელი ქარხნის აგება. მან უნდა მოგვცეს 100 ტონა ფლორიდინი. ამ ქარხნის დანიშნულებაა — გამოირკვეს, რა არის საჭირო, რომ ავაგოთ ფლორიდინის დიდი ქარხანა, რომელიც დააკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას და საზღვარგარეთაც კი გავიტანთ გასაყიდლად.

აქამდე ფლორიდინი ამერიკიდან შემოგვქონდა და ტონა (დაახლ. 61 ფუთი) 120 მანეთზე მეტი ჯდებოდა. ჩვენი ფლორიდინი კი 40-42 მანეთი დაჯდება ტონა. ფლორიდინი აუცილებლად საჭიროა ნავთის გასაწმენდად; თუ ჩვენშიც იყო ის, არავინ არ იცოდა და ფლორიდიდან (ამერიკაშია) მოდიოდა, ფლორიდინიც ამიტომ ჰქვიან, საქართველოში კი თურმე აუარებელი გვქონია ბაქოს ნავთისთვის ესოდენ საჭირო ნივთიერება.

151 საათი ჰაერში.

1 იანვარს ლოს-ანჯელოსის (ამერიკაშია) აეროდრომიდან დილის 7 ს. და 26 წ. აფრინდა სამმოტორიანი აეროპლანი „ფოკერი“, რომელსაც 5 მგზავრი ჰყავდა. ის გაფრინდა სან-დიეგოსკენ, შემდეგ შემობრუნდა და დაიწყო ირგვლივ წრის შემოხაზვა 350 კმ. მანძილზე. 5 საათის შემდეგ „ფოკერთან“ მიფრინდა მეორე აეროპლანი და საწვავი ნივთიერება მიაწოდა შემდეგნაირად: ეს აპარატი 10 მეტრით უფრო მაღლა მიფრინავდა იმავე სისწრაფით; მან ჩამოუშვა ძირს ორი მილი, რომელიც „ფოკერმა“ აიღო და ერთი ბენზინის აუზს შეუერთა, მეორე — ზეთისას. 5 წამში აივსო აუზები, წუთში 280 ლიტრი ბენზინი ემატებოდა „ფოკერს“. დღედაღამეში ხუთჯერ აწვდიდენ „ფოკერს“ საწვავ ნივთიერებას. აეროპლანის კაბინაში 3 საწოლი იყო, და ავიატორები ყოველი 6 საათის შემდეგ იცვლებოდენ და წვებოდენ დასაძინებლად.

პირველ ორ დღეს საქმე კარგად მიდიოდა. მესამე დღეს ისე დაბურა, რომ უკვე აპირებდენ ძირს დაშვებას, მაგრამ მზემ გაფანტა ნისლი, და კვლავ შეავსო „ფოკერმა“ თავისი მარაგი. ასე დაფრინავდა ის განუწყვეტლივ 5 დღეღამის განმავლობაში. მეექვსე დღეს შეეჭვდენ, იფიქრეს—მოტორი ვეღარ იმუშავებსო, და აეროდრომიდან შორს აღარ მიდიოდენ. 7 იანვარს, 15 ს. და 12 წ. „ფოკერი“ მიწაზე დაჯდა, ე. ი. განუწყვეტლივ იფრინა 6 დღედაღამე და 7 საათი, ე. ი. 151 საათი. სამივე მოტორი მშვენიერ მდგომარეობაში იყო და, როგორც გამოარკვიეს, შესაძლო იყო კიდევ დიდხანს ეფრინათ, მაგრამ თვითონ ავიატორები ძალზე იყვნენ მოქანცული.

„ფოკერის“ აპარატის თითოეულ მოტორს 200 ცხენის ძალა ჰქონდა. ამ ფრენის დროს „ფოკერმა“ 20000 კილომეტრი გაიარა, ესე იგი მთელი დედამიწის ეკვატორის ნახევარი. ასე იმარჯვებს ადამიანი ჰაერის დაპყრობის დარგშიც.

„ოქროს ისარი“

ტექნიკა თანდათან უმჯობესდება, და ადამიანი უფრო და უფრო იპყრობს სივრცეს. 1927 წელს ამერიკელმა სეგრეივმა 1000-ძალიანი ავტომობილით საათში 327 კილომეტრი გაიარა შესანიშნავ სწორ გზაზე; 1928 წელს მას აჯობა კემპბელმა, რომელმაც საათში 333 კილომეტრი გაიარა იმავე გზაზე; ამის შემდეგ სეგრეივმა გააკეთა განსაკუთრებული ავტომობილი „ოქროს ისარი“, რომელიც მართლა შესანიშნავი რამ არის, და შესძლო 370 კილომეტრის გავლა საათში, რაც მეტის-მეტად დიდი მიღწევაა.

მზის ქვეყანაში *)

როგორც კი ჯონი გამოჩნდა, ხმაური უფრო გაძლიერდა. შავკანიანი მხედრები კამათობდენ და ხშირად ჯონზე უჩვენებდენ.

— რაზე ცხარობენ ისინი? — ჰკითხა ჯონმა თავის თანამგზავრ ზანგს.

მან სიბრალულით შეხედა.

— ისინი იმაზე კამათობენ, თუ თქვენ როგორ მოგამზადონ, — სთქვა მან.

— რას ნიშნავს ჩემი მომზადება? — გაუკვირდა ჯონს.

— ნუთუ ვერ მიხვდით? ისინი კამათობენ, რა საჭმელი გემრიელია, რომ გააკეთონ თქვენგან.

— როგორ თუ ჩემგან, ნუთუ ჩემი შეჭმა უნდათ?

— უეჭველად.

შიშმა აიტანა ჯონი. სჯობდა ისევ გემზე დაღუპულიყო. სწორედ ამ დროს ერთმა ნერწყვმორეულმა ზანგმა თავზე ხელი ჩამოუსვა და ნერწყვი გადაყლაპა. ჯონს ყველაფერი აერია. ტკივილისგან შეჰყვირა, როცა ცულით მოსჭრეს ფეხი. მან დაინახა, როგორ დაიწყეს მისი ხორცის ღეჭვა.

ჯონმა იგრძნო, რომ ნახევრად შეჭმული იყო.

არიან თუ არა აფრიკაში ადამიანის მჭამელები?

მზე შეჭრილიყო აკაციის ხშირ ფოთლებ შორის და მის ძირში მწოლარე ორ ადამიანს აცხუნებდა.

ერთმა მძინარეთაგანმა გამოიღვიძა და გაკვირვებით დაიწყო თავისი სხეულის ნაწილების სინჯვა.

— დახე ეშმაკს, — სთქვა მან. — ჯერ სულ არ შევუჭამივართ. რა ბედნიერებაა, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო.

მისი მეზობელი გველნაკბენივით წამოვარდა ასეთ ხმაურობაზე.

*) დასაწყისი იხ. ჟურნ. „პიონერი“ № 8.

— რატომ ყვირით ასე საშინლად?

— ეს მე ვარ, ჯონ რიფლინგი. იცით რა საშინელი სიზმარი ვნახე? ვითომ ნახევრად შევეჭამე ზანგებს და, როცა დავრწმუნდი, რომ უვნებელი ვარ, ყვირილი მოვრთე.

ამხანაგმა შეხედა.

— ვის უნდა შეეჭამეთ? — შეეკითხა იგი.

— ზანგებს.

— რომელ ზანგებს?

— იმათ, რომელთაც ტყვედ წამიყვანეს.

მეორე ამხანაგი განრისხდა.

— იცით, სადა ვართ ეხლა?

— არა!

— უვიცი ადამიანი ყოფილხართ. ჩვენმა გემმა საშინელება განიცადა. ეხლა ჩვენ სამხრეთ აფრიკის "კავშირში ვართ, რომელიც ინგლისმა დაიმორჩილა. ეს ეხლა მისი ახალშენია. აქ კაცისმჭამლობა არ არის და არც ყოფილა.

— რატომ დამესიზმრა?

— თქვენ დიდი ხანია რაც აფრიკაში ხართ?

— არა! მხოლოდ ეხლა გამოვემგზავრე.

— მაშ არაფერ ა გასაკვირი. ინგლისელები მთელ დედამიწის ზურგზე ავრცელებენ ზღაპრებს იმის შესახებ, რომ აქაური ზანგები კაცისმჭამლები და ყაჩაღები არიან. ამით მათ უნდათ მთელ ქვეყანას აჩვენონ, რომ მხოლოდ კეთილი გრძნობებით დაიპყრეს ზანგების მიწა-წყალი. ისინი ამბობენ: რომ გადავარჩინა თეთრი რასის ხალხი ყაჩაღებისა და კაცისმჭამელებისაგან, მხოლოდ ამიტომ დავიპყარით ზანგებიო.

— მაშ კაციჭამიები არ არიან აქ?

— არა. აქ ახლო ზანგების ქვეყანა დამარა და ნამაკუა არის. ოდესღაც ეს ნაწილი ჩაიგდო გერმანიამ, მხოლოდ მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისმა ჩამოართვა. აქ ცხოვრობს ზანგების განსაკუთრებული ტომი — გერერო, რომელიც დამოუკიდებელია და უფრო შეგნებულია შავ ხალხთა შორის. გერმანიის კაპიტალისტები უწყალოდ ჰყვლეფდენ ამ ხალხს. ომის წინ ჩაგრულმა ხალხმა ხმა ამოიღო და აჯანყდა მყვლეფელების წინააღმდეგ. მაშინ გერმანიამ აჯანყების ჩასაქრობად კარგა ბლომად გაგზავნა ჯარი. რამდენიმე თვის განმავლობაში ათასობით ხვრეტდენ აჯანყებულთ, სანამ სულ არ დაიმორჩილეს. მას შემდეგ ამ ხალხს, რასაკვირველია, სძულს ევროპელები. აქ ზანგები მუშაობენ დიდ პლანტაციებზე. კაცისმჭამელების ხსენება სრულიად არ არის.

რიფლინგი დაწყნარდა.

მიხვდა, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო და დამშვიდებული შეეკითხა:

— თქვენ საიდან მოხვდით აქ?

— მეც თქვენსავით მოვცურდი დაღუპული გემიდან.

— ეხლა რა ვქნათ?

— აღმოსავლეთით წავიდეთ და რაც უფრო დავიჩქარებთ, მით უკეთესი. აქ ახლო ზანგების პატარა ქალაქია და იქიდან კი ნარინჯი მდინარის ნაპირას რკინის გზა არის.

დიდხანს ფიქრი საჭირო აღარ იყო, და ჩქარა მათ გაუვალი უდაბნოს გადაჭრა მოუხდათ.

ჯონის თანამგზავრი მეტად კარგი ადამიანი გამოდგა. იგი ბური იყო. ის ბრუნდებოდა ჰოლანდიიდან, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდენ. სამხრეთ აფრიკაში იგი მსოფლიოში განთქმულ ოქროს დამუშავებაზე მუშაობდა.

მან ბევრი რამ უამბო ჯონს ზანგებზე, რომლების შესახებ ჯონმა წიგნებიდან იცოდა, ეს წიგნები კი ხშირად დაწერილია ისეთი პირების მიერ, რომელთაც თავის სიცოცხლეში არ უნახავთ ზანგები. მან თავისი თანამგზავრისგან შემდეგი გაიგო:

— ზანგებს შორის მეტად ჩამორჩენილი და დაწინაურებულნიც არიან; დუხჭირი მონური მდგომარეობა მათ ხშირად ყაჩაღებად აქცევს. ისინი მეტად პურმარილიანი არიან. სამხრეთ აფრიკის ზანგებს ჰქვიან ბანტაუ და ჩრდილო ზანგებს — სუდანელები. სუდანელები უფრო დამოუკიდებელნი, ენერგიულნი და განვითარებულნი არიან. მათ ჰქონდათ მეტად მდიდარი და ძლიერი სახელმწიფოები, რომლების დაპყრობა მეტად გაუძნელდათ ევროპელებს. ბანტაუ უფრო ჩამორჩენილნი არიან. ხოლო წინამფლობელნი ქვეყნისა — ჰოტენტოტები და ბუშმენები — თანდათან სრულიად ისპობიან. მათ მაგივრად ჩრდილოეთიდან მოვიდენ: კაფრები, ბეჩუანები და მატაბელები.

ეხლაც არიან ბუშმენები და ჰოტენტოტები (რამდენიმე ათასი-ღა დარჩა ჰოტენტოტი) და უფრო ჩამორჩენილნი არიან, მეტადრე ბუშმენები. ისინი დიდიან ტიტველნი და ცხოვრობენ ბუჩქ ქვეშ. „ბუშმენი“ ნიშნავს „კაცი ბუჩქ ქვეშ“- ბუშმენები მეტი შევიწროვების გამო წყდებიან.

სიზმრით შეშინებული ჯონი თანამგზავრს მაინც არ ასვენებდა.

— ნუთუ კაცისმჭამელები აფრიკაში სულ არ არიან? — შეეკითხა იგი უკანასკნელად.

— ჯერ კიდევ გამოუკვლევ კონგოს ნაწილებში შეიძლება კიდევ არიან კაცისმჭამელები. აფრიკა ხომ ნაკლებად შესწავლილი და გამოკვლეული ნაწილია, მაგრამ ამ ნაწილში არ არიან. ბუშმენები ნადირობას მისდევენ, ჰოტენტოტები კი მომთაბარე ხალხია და საქონლის მოშენებას მისდევენ, ხოლო კაფრები ზულუსები, გერორები, ბეჩუანები მიწის დამუშავებას და მესაქონლეობას მისდევენ. აღსანიშნავია, რომ შრომას მხოლოდ ქალები ეწევიან.

— ეს ტომები ძმურად ცხოვრობენ?—შეეკითხა ჯონი.

— არა, მათ ძალიან ხშირად მტრული განწყობილება აქვთ ერთმანეთთან და ამიტომ ერევა მათ გასაშველებლად უცხო ძალა.

ამ ლაპარაკში მზე ჩაესვენა, და უდაბნოში ჩქარა დაღამდა. სიარული გაძნელდა. გზაში ხან რას წამოკრავდენ ფეხს და ხან რას. კომპასმა, რომელიც ჯონის თანამგზავრს ჯიბეში ჰქონდა, აჩვენა, რომ აფრიკის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში იყვნენ.

— შუაღამე იქნება, როცა ჩვენ ამ გაუვალ გზას გავშორდებით, — სთქვა თანამგზავრმა. — ეხლა კი ფეხს უნდა ავუჩქაროთ, რომ ამ საშინელ ადგილს გავცილდეთ—, რომელიც საშიშია არა კაციჭამია ზანგებით, არამედ ცხოველებით. აქ, მაგალითად, ძალიან ბევრია: ტურა, ვიფხვი, ლომი და, გარდა ამისა, აქ გაუფრთხილებელ მგზავრს შხამიანი გველისგანაც უბედურება მოელის.

გზაში ისინი ხვდებოდენ თეთრ ლილიას, რომელიც რამდენიმე თვეს იკარგება ხოლმე დიდი გოლვის დროს, მაგრამ საკმარისია სულ მცირე ნამი, რომ ისევ ყელმოღერებული აფრქვევდეს სურნელებას მიდამოს.

ბევრი ხეტიალის შემდეგ მეგობრებს დიდ პირდაღებულ გამოქვაბულში მოუხდათ ძილი.

თარგმ. თამარ ჩერქეზიშვილის

ბავშთა კომჯგუფების აღმოცენება ინგლისში

(ბავშთა საერთაშორისო კვირეულისათვის).

ჯერ კიდევ ბავშთა პირველ საერთაშორისო კვირეულს (1921 წ.) მოაწყეს ინგლისის მშრომელთა ბავშებმა დემონსტრაცია ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის ლოზუნგებით და გაავრცელეს 5.000 ცალი გაზეთი „ახალგაზრდა ამხანაგი“, რომელიც იყო გამოცემული კომკავშირის მიერ სპეციალურად ბავშთა კვირეულისათვის. მაშინ ინგლისის კომკავშირი ძალზე სუსტი იყო, ვინაიდან ეს იყო ორგანიზაციულად ჩამოყალიბების პერიოდი და მაშინ მას არ შეეძლო მაშინვე ჩამოეყალიბებინა ბავშთა კომუნისტური ჯგუფები. მხოლოდ 1922 წელს იწყება ინგლისში ბავშთა კომჯგუფების აღმოცენება და მუშაობის დასაწყისშივე ნათლად ეტყობოდა, რომ აღნიშნული ჯგუფები მომავალში ნამდვილ კომუნისტებს აღზრდიდენ. ბავშთა კომჯგუფები ენერგიულად მუშაობდენ, აბამდენ თავის რიგებში ბავშების ახალ-ახალ ფენებს და ეხმარებოდენ პარტიასა და კომკავშირს.

1922 წელს ბავშთა ჯგუფებმა ბევრი ფული შეაგროვეს საბჭოთა რუსეთის დამშეულ ბავშთა სასარგებლოდ; ისინი აწყობდენ ყვავილთა სპეციალურ დღეს, როცა ბავშები მიდიოდენ ქალაქ გარეთ, იქ ჰკრეფდენ მინდვრის ყვავილებს და ჰყიდდენ ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე, შეგროვილი ფული კი საბჭოთა რუსეთში იგზავნებოდა.

სრულიად ინგლისის პირველი კონფერენცია.

1923 წლის თებერვალში ლონდონში (ინგლისის დედა ქალაქია) იყო მოწვეული სრულიად ინგლისის ბავშთა ჯგუფების პირველი კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ დელეგატები 35 ჯგუფიდან (ეს ჯგუფები აერთიანებდენ დაახლოვებით 2.000 ბავშს). ბავშები გამოდიოდენ მოხსენებით ბავშთა მდგომარეობის შესახებ ინგლისში და ეხებოდენ თავის მუშაობას.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, სადაც აღნიშნული იყო ბავშების მიერ აუცილებელი მონაწილეობის მიღება ახალგაზრდა და მოზრდილი მუშების მუშაობასა და ბრძოლაში; შემუშავდა ბავშთა ჯგუფებისა და კომჯგუფების მუშაობის, აგრეთვე მათი მომავალი განვითარების გეგმა. გეგმაში შედიოდა: ჩამოყალიბება ბავშთა კომჯგუფების უჯრედებისა სკოლებში, ჩამოყალიბება მშობელთა მუშური საბჭოებისა სკოლებში, ფართედ გავრცელება საკუთარი ლიტერატურის და გამოცემა ჟურნალის „ნორჩი ამხანაგი“-ს სახელწოდებით, ბავშთა დემონსტრაციების ჩატარება კომუნისტური ლოზუნგებით, უარყოფა საპატიო სალამის მიცემისა ინგლისის დროშისათვის სკოლებში, ბრძოლა ბურჟუაზიულ მასწავლებელთა წინააღმდეგ სკოლებში სპეციალური საასკოლო გაფიცვების მოწყობის საშვალებით, ფურცლების გამოცემით, კომპარტიისა და კომკავშირისთვის დახმარების გაწევა.

ყოველივე ამის გარდა კონფერენციამ შემდეგი მოთხოვნა წაუყენა მთავრობას: უფასო საუზმის შემოღება სკოლებში, უფასოდ დარიგება ყველა მოწაფისათვის ტანისამოსის და ფეხსაცმელებისა, ყოველგვარი სასჯელის და შევიწროვების მოსპობა სკოლებში და სხვა.

ინგლისის ბავშთა კომჯგუფებმა ეს მთლიანად გაატარეს ცხოვრებაში და მათი აქტიური მუშაობის საშვალებით ბავშთა კომჯგუფებს ყრილობაზე შემოუერთდა 1925 წლის 1 აპრილს ეგრეთწოდებული ბავშთა სოციალისტური ჯგუფები, რომელთაც თავის რიგებში ჰყავდათ 300-ზე მეტი გოგონა და ვაჟი.

1923 წ. ძალიან კარგად ჩაატარეს ბავშკომჯგუფებმა მთელ ინგლისში ბავშთა მე-3 საერთაშორისო კვირეული, რომელიც ტარდებოდა 24—31 ივლისს. მაგ. ქალაქ მანჩესტერში მათ მიერ მოწყობილ მიტინგზე 2.000-მდე ბავში იყო.

რევოლუციონური სიმღერების შემდეგ გამოვიდა ოთხი ორატორი ბავშებიდან. მიტინგი დიდი კონცერტით დამთავრდა. აღნიშნულ მიტინგზე პოლიციამ დააპატიმრა „პროპაგანდისათვის“ 11 წლის ვაჟი.

აგვისტოს 1923 წ. ბავშკომჯგუფები ჩამოყალიბდა ლონდონში, მანჩესტერში, სოვეტვარკაში, ედინბურგში, დუნდეში, ბაროუში, პეისლეში, აბერდენში, ბრაიტონში და სხვა ქალაქებში.

1927 წ. დაიწყეს გამოცემა ყოველთვიური საბავშო ჟურნალის „ახალგაზრდა ამხანაგი“.

ეხლა აღნიშნული ჟურნალი 5.000 ცალი გამოდის და ორკვირეულ ჟურნალადაა გადაკეთებული.

ბავშთა მეოთხე საერთაშორისო კვირეულის დროს (1924 წ.) კომუნისტური ჯგუფები აქტიურად მუშაობდენ. კვირეულის დროს მათ შესძლეს და ჩააბეს თავის ორგანიზაციაში ბევრი ახალი ბავში.

ლონდონის დასავლეთ ნაწილში ერთმა ბავშკომჯგუფმა მოაწყო დიდი მიტინგი, რომელსაც დაესწრო ბევრი უფროსი ამხანაგი. თვით ბავშები გამოდიოდენ, მათ შეძდეგ კი უფროსი ამხანაგები, რომლებიც მოუთხრობდენ ბავშებს მუშური ცხოვრების აუტანელ პირობებზე. მიტინგის დამთავრების შემდეგ ბავშკომჯგუფთა წევრთა რიცხვი გაიზარდა — 12-ის ნაცვლად 35 კაცი.

ქალ. მანჩესტერში ჩატარდა ნამდვილი „წითელი კვირა“ და ადგილობრივი ბურჟუაზიული გაზეთები ძალიან კიცხავდენ პატარა აგიტატორებს. ბავშკომჯგუფების, კომკავშირისა და კომპარტიის მიერ მოწვეული იყო მრავალი მიტინგი დახურულ შენობებში და სუფთა ჰაერზე. ბავშკომჯგუფებმა პეისლეში მიმართეს სპეციალური წერილით ადგილობრივ პროფკავშირებს მატერიალური დახმარების შესახებ; პროფკავშირებმა დადებითად უპასუხეს და დაეხმარენ მათ.

ლონდონში „ტლაფარგარეს“ გამოქვაბულში მოეწყო დიდი დემონსტრაცია. ეხლახან ბავშთა კომჯგუფები აერთიანებენ 4500-ზე მეტ ბავშს. უკანასკნელ დროს ინგლისის კ. კ. სათანადო ყურადღება მიაქცია და სოფლადაც აყალიბებს ბავშთა კომჯგუფებს.

გ. ბ—ძე.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია: მარიამ ორახელაშვილი, აკ. მახათაძე, ვ. ლუარსამიძე, ალ. მაშაშვილი და გ. აბესაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1929 წ.

გამოდის — გამოდის

საყმაწვილო დასურათებული

→→ ჟურნალები ←←

მოზრდილთათვის **პიონერი** ორკვირეული IV წ.

მიიღება ხელმოწერა 1929 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში — 5 მან.
ექვს თვეს — 3 მან.
სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი — 25 კაპ.

მცირეწლოვანთათვის **„ოქტომბრელი“** ყოველთვიური II წ.

ხელმოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

გადაგზავნით { „ოქტომბრელი“ — ერთი წლით — 3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით — 2 მ.

ცალკე ნომერი — 35 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი. ახალგაზრდათა სექტორი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ოქტომბრელი“-ს რედაქცია.

სახელგამის სტამბა. სომხის ბაზარი, № 22.

მთავარლიტი № 820. შეკ. № 273. ტირაჟი 1500.